



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

აკაკი ჩიქობავა

ვალი შუა საუკუნეების საქართველოში

(მეფახურობის პოლიტიკონომია)

2025

წიგნში განხილულია ვალის და სამეცნიერო სისტემის ისტორია ფეოდალური ეპოქის საქართველოში, მისი გავლენა ყოველდღიურობაზე, საგლეხო და საბატონო მეურნეობაზე; ვალით დამძიმებული გლეხობის მდგომარეობა; ვალის გავლენა საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ასევე, წიგნში განხილულია ვალის აღების საჭიროებები და მისი გავლენა სოციალურ ცხოვრებაზე, საკანონმდებლო ბაზა და სამართლის ნორმები ვალის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით, ვალის ისტორიის კვლევიტა და ეკონომიკის ისტორიით დაინტერესებული პირებისთვის, ასევე, ფართო საზოგადოებისთვის.



საგრანტო პროექტი განხორციელდა შოტა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (YS-22-679) – This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) (YS-22-679)

პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ბაზაზე

რედაქტორები: თსუ-ის პროფესორი თეოდო დუნდუა,
ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი

რეცენზენტი: თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია

გარეკანზე:

სევიტცხოვლის ტაძრის XVII საუკუნის ფრესკა, ე.წ. იალქნიანი გემები.
ფოტო აღებულია ინტერნეტის ღია წყაროებიდან.

გარეკანის დიზაინის იდეა ChatGPT

ISBN 978-9941-8-7929-6

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი პირველი:	
მევახშეობის პოლიტიკონომიკა	
ფეოდალურ საქართველოში	15
თავი მეორე:	
გლეხი ქართულ საისტორიო საბუთებსა	
და სამართლის ძეგლებში	
(პირველადი დაკვირვების შედეგები).....	33
თავი მესამე:	
საქართველოს კონტაქტები კაპიტალის	
დაგროვების პირველ ცენტრთან	
(ვაჭრობა და კრედიტი)	44
თავი მეოთხე:	
მევახშეობის განვითარება XIII-XVIII საუკუნეებში	62
დასკვნა	83
რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....	89

ვუძღვნი ჩემს მასწავლებლებს.

შესავალი

სესხი და ვალი კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ყოველ ეტაპზე, საწარმოო ურთიერთობების ცვალებადობასთან ერთად, სასესხო ვალდებულება ადამიანის პიროვნულ და ქონებრივ დამოუკიდებლობას განსაზღვრავდა – დაწყებული მონობიდან, დამთავრებული დღევანდელი გარემოებებით, როდესაც მართალია, ადამიანი პირდაპირი გაგებით პიროვნულ თავისუფლებას არ კარგავს, მაგრამ შესაძლოა (ასეც არის კიდევ), დაკარგოს უკანასკნელი საცხოვრისი ან მისი არსებობისთვის აუცილებელი საწარმოო საშუალებები.

სავაზხო კაპიტალი საქართველოში ძველი დროიდანვე მძიმე პირობებთან და თავისუფლების დაკარგვასთან რომ არის ასოცირებული, ეს ჩანს XI საუკუნის ერთი ქადაგებიდანაც: **„გლახაკ ხარ, არამედ თავისუფალ ხარ, უკეთუ ისესხო, გავეღარმდიდრდე და თავისუფლება წარმაგალ არს...“**¹

ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, საქართველოში პირობითად, სესხი/ვალის განვითარების 5 ეტაპი შეიძლება გამოვყოთ: 1. ფეოდალური ეპოქის სასესხო ვალდებულებები, რომელიც სამეფახშეო ხასიათს ატარებდა; 2. XIX საუკუნეში, წინა პერიოდიდან შემორჩენილ თამასუქთან ერთად, საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, სათავადაზნაურო ბანკი და სხვა; 3. 1918-1921 წლების საბანკო სისტემა და სასესხო ურთიერთობები; 4. საბჭოთა ვალი; 5. ვალი 1992 წლიდან დღემდე. რა თქმა უნდა, ამგვარი დაყოფა პირობითია, თუმცა, ყველა ეტაპს დამახასიათებელი ნიშნები აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ამ ეტაპისთვის (საბჭოთა პერიოდის გამოკლებით)

¹ პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი მეორე. თბ. 1956, გვ. 185.

თანმდეგია სამეცნიერო კაპიტალის მძლავრი პარაზიტული თვისებები.

ამჯერად, ჩემი კვლევის ინტერესს ფეოდალური ეპოქის საქართველოში სესხი/ვალის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია წარმოადგენს. ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისევე როგორც თითქმის ყველა საკითხის, სესხი/ვალის ტერმინოლოგიის გარკვევას ივანე ჯავახიშვილი შეეცადა. ამიტომ ცნობის სახით გადმოვცემ იმ სიტყვათა სემანტიკურ დატვირთვას, რომლებიც ივანე ჯავახიშვილს შესაბამის ნაშრომში აქვს მოცემული.

აღრუული წყაროებიდან ირკვევა, რომ ვალთან ერთად გამოიყენებოდა ტერმინი „თანანადები“, ასევე, „ვასხი“ და „სესხი“.¹ ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, სარგებლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ტერმინი „ვასში“. ფალაურად „ვასში“ სარგებელს, ხოლო ზენდურად – მატება/ზრდას ნიშნავს.² სიტყვა „ვასშის“ დამკვიდრებამდე ქართულ რეალობაში გამოიყენებოდა ტერმინი „აღნადგინები“,³ იპოთეკის აღმნიშვნელად – „წინდი“, წინდად მიცემა. მის ნაცვლად, ასევე, იხმარებოდა ტერმინი „ნახუთევი“, რომელიც სიტყვა „ხუთვადან“ უნდა მომდინარეობდეს და მისი სოციალური ბუნება სავსებით გასაგებია.⁴

ქართველ მეცნიერთაგან ივანე ჯავახიშვილი პირველია, ვინც სესხი-ვალის საკითხებს შეეხო. მან წყაროებზე დაყრდნობით სესხის კლასიფიკაცია და შესაბამისი ტერმინების დაადგინა. გამოარკვია ვალთან დაკავშირებული სხვადასხვა ტერმინი, რა ეწოდებოდა მევალეს ან ვალის გამცემს, ვინ არის

¹ ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 322.

² ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 326.

³ ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 327.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 311-333.

ვალის უფალი და ვინ არის ვალით მოსარგებლე. გამოარკვია ტერმინ „თანანადების“ და „აღნადგინების“ გენეზისი, რომელ ეპოქაში იბადება და როგორ ვითარდება იგი. როგორ ჩნდება ტერმინი „ვასხი“, „ვახში“ და როგორია მისი განვითარება ტერმინ „ვალამდე“. გამორკვეული აქვს ამ ტერმინების გაჩენის თანმდევი ეკონომიკური საკითხები და როდიდან მონაცვლეობენ ან პარალელურად რა მიზეზების გამო იხსენიებიან.¹

ივანე ჯავახიშვილმა, ასევე, პირველმა გამოარკვია სავახშო ვალდებულების დროს გაფორმებული დოკუმენტაციის ფორმა და შედგენის წესი: 1. შესავალში მითითებული უნდა იყოს ვალის აღების გარემოება, თუ რამ დააჭირვა მისი აღება; 2. ამის მერე დასახელებული უნდა იყოს ვალის ოდენობა და თვისება; 3. განსაზღვრული უნდა იყოს ვალის აღების თარიღი, ხანგრძლივობა და გადახდის ვადები; 4. განსაზღვრული უნდა იყოს სარგებლის ოდენობა, წლიური თუ თვითური პროცენტის თვისება. რითი გადაიხდება, ნატურით თუ თეთრით; 5. სარგებელის გადახდა უნდა მომხდარიყო ყოველგვარი მიზეზის გარეშე; 6. საბოლოოდ კი მოცემული უნდა ყოფილიყო მხარეები და მოწმეები, რომლებიც საბუთის ნამდვილობას დაადგენდნენ.²

ასევე, გამორკვეული აქვს თავსმდებობის ნაირსახეობა, წინდი, ნახუთევი და საკუთრივ თავსმდებობა: წინდი – ეს იყო ვალის სანაცვლოდ ჩადებული ქონება აგარაკების თუ მიწის სახით. თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ წინდ არა მხოლოდ ვალის, არამედ ნებისმიერი ვალდებულების დროს გამოიყენებოდა.³ შემდეგი ტერმინია „ნახუთევი“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის აზრით, ზმნა ხუთვასგან უნდა მომდინარეობდეს და სასესხო ვალდებულების

¹ ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 322-325.

² ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 329-330.

³ ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 331.

სიმძიმეზე მიუთითებს. ამ ტიპის წინდი მხოლოდ გარემოებად ითვლებოდა. ნახუთევი უნდა წარმოადგენდეს ისეთ ვალდებულებას, როდესაც მსესხებელმა ვალი ვერ გადაიხადა და სწორედ ამის შემდგომ მოვალე ისაკუთრებს მევალის რაიმე ქონებას. ის იმთავითვე წინდს ან გირაოს არ წარმოადგენდა, არამედ გადაუხდელობის გამო დამდგარ შედეგს, როდესაც საკუთრება სხვის ხელში გადადიოდა.¹ რაც შეეხება თავსმდებობას, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ის ჯერ სისხლის სამართლის საქმეებზე უნდა გაჩენილიყო, ხოლო მოგვიანებით სამოქალაქო საკითხებზე, მაგალითად, სასესხო ვალდებულებებზე გავრცელდა.²

კრედიტისა და ვალის ისტორიას მოკლედ ეხება ნიკოლოზ ქოიავა შესანიშნავ ნაშრომში: „ფულის მიმოქცევა და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში“. ³ მართალია, აღნიშნული ნაშრომი კონკრეტული პერიოდითა და გეოგრაფიული არეალითაა შემოსაზღვრული, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქ განხილული დაკრედიტების ისტორია და მასთან დაკავშირებული ამბები მეტწილად განხილულია ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის მუხლების მიხედვით. აღნიშნული სამართალი კი, მიუხედავად დაქუცმაცებულობისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოიყენებოდა ადგილობრივი მეფე-მთავრების ბრძანებებთან ერთად.

ნიკოლოზ ქოიავა, მონოგრაფიის პირველ თავში განიხილავს ფულის და სამონეტო სისტემას XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, ფულის მოჭრის ეკონომიკურ საჭიროებებს. ცალ-ცალკე აქვს განხილული ვერცხლისა და ოქროს მონეტების მოჭრის თავისებურებები, ფულის გაფუჭების პერიპეტიები.

¹ ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თბილესი თორმეტ ტომად. ტომი VII, გვ. 332-333.

² ივ. ჯავახიშვილი. სესხი და ვალი. თბილესი თორმეტ ტომად. ტომი VII, გვ. 333.

³ ნ. ქოიავა. კრედიტი XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. ფულის მიმოქცევა და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 77-103.

მეორე თავი მთლიანად ეთმობა ვალისა და სესხის ისტორიას. საბუთების მიხედვით კლასიფიცირებულია მსესხებლები და გამსესხებლები, მათი კლასობრივი მდგომარეობა; პროცენტის ოდენობა საუკუნეების მიხედვით; როგორია პროცენტის ოდენობა სხვადასხვა ეპოქაში. წყაროებზე დაყრდნობით გამოკვეულია, რომ მეფე ვალის აღების დროს სარგებელს ანუ პროცენტს არ იხდიდა. ქოიავა სესხის გაფორმების აღწერასთან ერთად, გირავნობის თავისებურებებზეც მოგვითხრობს. სხვა პირობებში, როგორი იყო თამასუქის ნაირსახეობა და რას გულისხმობს თამასუქის ვალუტა. ასევე, საუბარია ნისიად ვაჭრობის შესახებ, თუმცაღა, გაკვრით და ამის დასადასტურებლად მეცნიერს მხოლოდ ორი საბუთი მოჰყავს. ამასთან, ბმაში განხილულია ვალის დროს ვერცხლის დათქმის პირობები. ვერცხლის დათქმა საჭირო იყო მონეტის გაფუჭების შემთხვევისგან თავის დასაზღვევად, მარტივად რომ ვთქვათ, კურსის დასადგენად. საბუთებში ხშირად ვხვდებით პირობას, რომ ვალი ამა თუ იმ კონკრეტული ფულით იქნას გადახდილი. ამ ტიპის პირობები ეკონომიკური კრიზისების პარალელურად ჩნდება, როდესაც ადგილზე რამდენიმე ფულია მიმოქცევაში და მათი კურსი ცვალებადია. გაკვრით არის საუბარი საერთაშორისო კრედიტზე, რა ტიპის საერთაშორისო კრედიტი მოქმედებდა ჩვენთან და რომელი კანონებით რეგულირდებოდა იგი. აქაური კრედიტი ჯერ კიდევ შუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი ნიშნებით ფუნქციონირებდა და დაცლილი იყო კაპიტალისტური კრედიტის ნიშნებისგან. განხილულია კრედიტის როლი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების ჭრილში. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ვალი სანინდარი იყო მსესხებელის ქონების დაკარგვისა, გამსესხებელი კი ამ ფორმით სულ უფრო და უფრო აფართოვებდა მინების და ყმების რაოდენობას.¹

¹ ნ. ქოიავა. კრედიტი XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. ფულის მიმოქცევა და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 77-102.

ცალკე გამოყოფის ღირსია პაატა გუგუშვილის ნაშრომი „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“, ¹ რომლის მეორე ნაწილში განხილულია ფულისა და კრედიტის მნიშვნელობა, მევახშეობის არსი, ზოგადად, მევახშეობის პოლიტეკონომიკა, კრედიტის ევოლუცია XIX საუკუნემდე, პირველი საკრედიტო ორგანიზაციები და ა.შ.

პაატა გუგუშვილი პოლიტეკონომიკურ ჭრილში განიხილავს ვალის განვითარების ისტორიას საქართველოში. მისთვის მნიშვნელოვანია ვალის როლი სამამულო მეურნეობის დაკნინებისა და კვლავწარმოების განსახილველად. მეცნიერი ეპოქის შესაბამისად განიხილავს დაგროვების პროცესის თავისებურებებს. მაგალითად, მონღოლების პერიოდის ეკონომიკური კრიზისის ფონზე ვაჭრების, მევახშეების აღზევებას და მათ ხელში კონცენტრირებულ უზარმაზარ ქონებას. ასევე, ქალაქების შესყიდვის ან ვალის სანაცვლოდ მათ დაუფლებას განიხილავს, როგორც პირვანდელი დაგროვების ჩანასახების გაჩენას საქართველოში. ამ პროცესს გუგუშვილი აღწერს, როგორც წინარეკაპიტალისტური წარმოების ფორმებში არსებული ნიშნების აღმოცენებას, რომელიც შემდგომ ფორმაციაში სახეცვლილი მოგვევლინება, როგორც კაპიტალისტური წარმოებისთვის დამახასიათებელი აუცილებელი მოცემულობა.

გუგუშვილისთვის მნიშვნელოვანია სამევახშეო კრედიტის ფორმების შესწავლა, რამ გამოიწვია ამ ფორმების არსებობა საქართველოში და როგორია მათი განვითარება, როგორ გადაიზარდა ის ორტაღებში და რა როლს თამაშობდა ორტაღები იმდროინდელ მსოფლიო ვაჭრობაში. ცალკე განხილული აქვს ეკლესია, როგორც ვალის გამცემი და რა ტიპის ურთიერთობებში იყო ის მსესხებელთან, როგორ კრძალავდა საეკლესიო კანონები ამ ტიპის საქმიანობას და რა შედეგი მოჰქონდა მას

¹ პ. გუგუშვილი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი მეორე. თბ. 1956.

ეკლესიისთვის, როგორ ახდენდა სესხის გავლით სავაჭრო კაპიტალის კონცენტრირებას ეკლესიის საკუთრებაში.

ცალკე აქვს განხილული სამევახშეო კრედიტის მოწესრიგების საკითხები: როგორ ერეოდა სახელმწიფო სამევახშეო საქმიანობაში და რა ტიპის რეგულაციებს უწესებდა მათ; მუშაობდა თუ არა ეს რეგულაციები და როგორ აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკაზე, როგორც მესაკუთრე, ისე მწარმოებელი კლასის მდგომარეობაზე.¹

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ქართული სამართლის ძეგლები, რომლებიც საინტერესო მასალას იძლევა სამევახშეო ურთიერთობების შესასწავლად. ბექა-აღბუღას სამართალი და ვახტანგ მეექვსის სამართალი, ეს არის სახელმწიფოს მიერ სამევახშეო საქმიანობის რეგულირების თვალსაჩინო მაგალითი. თუმცა, დოკუმენტები ნათლად გვიჩვენებს, რომ კონკრეტულ პროდუქტზე სარგებელი ხშირად იმაზე მეტი იყო, ვიდრე ეს კანონით გახლდათ განსაზღვრული.

მევახშეობა გაუმართლებელ საქმედ მიიჩნეოდა. სარგებლის და პროცენტის აღებას საეკლესიო სამართალთან ერთად, მორალურად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, მევახშეობა ფართოდ იყო გავრცელებული ჩვენში. პირველები კი ისინი გასცემდნენ პროცენტში, ვინც ამ ყველაფერს თითქოს კანონებით კრძალავდა, სესხის განვითარებასთან ერთად კი შესაბამისი მუხლებით ცდილობდა შეზღუდვას ან სულაც, დაკანონებას.

პირველივე მუხლი, რომელიც ვახტანგის სამართალში გვხვდება, ეს არის მოსეს სამართლის 39-ე მუხლი, რომელშიც ვკითხულობთ: **„ნუ მიჰხდი აღნადგინებსა ძმასა შენსა ვერცხლისასა, ნუცა აღნადგინებსა საჭმლისასა, ნუცა ყოველსა აღნადგინებსა სესხისა მის შენისასა, რომელ ავასხე ძმასა შე-**

¹ პ. გუგუშვილი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი მეორე, გვ. 114-183.

ნსა, რაითა გაკურთხოს შენ ღმერთმან“.¹ ყველაფერი ნათელია, სამართლის წიგნი ამჟღავნებს საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებას ვალის გაცემისა და პროცენტის ამოღების შესახებ.

შემდეგი მუხლები ვალის შესახებ, სომხური სამართლის კრებულში გვხვდება, სადაც საუბარია ვალის მემკვიდრეობაზე, ანუ როდესაც მევალე გარდაიცვლებოდა, ვის უნდა ეკისრა ვალის გადახდა.² შემდეგი მუხლები ეხება ვალის გაცემისა და გირაოს საკითხებს, როგორი პროცედურები ახლავს ვალის გადაუხდელობას, გირაოს თანხლებით თუ მის გარეშე.³ სომხური სამართლის 133-ე მუხლიდან უკვე საუბარია იმაზე, ქონების რა ფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნას ვალის აღებისას, რა უნდა ჩაიდოს გირაოდ ან რა შეიძლება გადაეცეს გამსესხებელს ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში. საკუთრების ფორმა ფართოა, მიწიდან დაწყებული, ყმით დამთავრებული: მიწა, ვენახი, ცხვარი, სახედარი ან თუნდაც, სამუშაო ცოცხალი ძალა ვალის თავნის ან სარგებლის გასასტუმრებლად.⁴ შემდეგი მუხლები მოგვითხრობს თავსმდელებისა და შუამავლების ფუნქციებზე, ვალის გადაუხდელობის დროს რა ტიპის სასჯელი ვრცელდება მათზე და როგორ უნდა იქნეს ვალი გადახდილი.⁵ 139-ე და 140-ე მუხლები განსაზღვრავს ვალის გადახდის ვადას, ანუ პაემანს და გაცემული ფულის კურსს. ვალი უნდა გადაიხადონ იმ ვალუტაში, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ. აქ საუბარია ვალის თავანზე, სარგებელი კი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს.⁶

¹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 121.

² ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. გვ. 259.

³ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. გვ. 260-261.

⁴ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. გვ. 261.

⁵ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. გვ. 262-263.

⁶ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. გვ. 262.

მხითარ გოშის სამართლის 274-ე მუხლიდან საუბარია დაქირავებული ან გაგირავებული ქონების შესახებ, გირაოს და ქირის გადაუხდელობის შესახებ და იმაზე, თუ რა ტიპის პროცედურები შეიძლება ახლდეს სამართლებრივად.¹

კრებულის შემდეგი ძეგლი, ეს არის გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დება, რომელიც ვალის საქმეზე ერთი მუხლით შემოიფარგლება და სადაც პირდაპირ, ხაზგასმით წერია: „**სარგებელი არც ქართველთ შჯულთა შიგან ძეს წესად, რომე აიღონ, და არცა სხუათა სჯულთა უწერია. და სარგებელი არის უწესო. და თუ რადამდე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღილოს, რა გინდ რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრსა ზედო ორი თეთრი მიეცეს – რაზომი დიდი ხანი დაეყოს ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემად. და თუ დია ავი კაცი არ არის, არც ამის აღება მართებს, სამართალი ესე უნდა ჰყონ ყობელთა**“.² როგორც ვხედავთ, გიორგი ბრწყინვალე ვალის გაცემას უწესო საქმეს უწოდებს, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, სარგებლის ფორმად 20 პროცენტს განსაზღვრავს. სახელმწიფო სამევახშეო ურთიერთობას ამგვარად არეგულირებს, ამის მიუხედავად, ჩვენ ვიცით, რომ მევახშეობა იმ დროისთვის ფართოდაა გავრცელებული და მისი ინსტიტუალიზებაც კი მოხდა ორტაღების სახით.

ძეგლის დების თანადროული ქართული სამართლის ძეგლი, ე.წ. ბექა-აღბუღას სამართალი ვალის და გირაოს საკითხს ასე განსაზღვრავს: თუ ვინმეს ფული ან სავახშოდ, ან მიწა გირაოდ ჩაედოს, როცა თავანი გადახდილი იქნება, მიწა უნდა დაუბრუნდეს და სარგებელს რაც მოაკლდა, ნელ-ნელა გადაიხადოს და თუ მიწის პატრონი ადგილზე არ იყო, გადახვენილი გახლდათ და გადატაკებული იყო, მიწიდანაც არა სარგებელი ჰქონდა, მე-ვალე ვერაფერს მოსთხოვს.³

¹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 323.

² ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 421.

³ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 457.

ქართული სამართლის ძეგლებში განსაზღვრულია ვალის აღება-გაცემის თითქმის ყველა ძირითადი პრინციპი. უნდა ითქვას, რომ გარკვეული მუხლები ეპოქის შესაბამისადაც ემატებოდა. მაგალითად, მიწის დაგირავება-არდაგირავების საკითხი, ვალის გაცემის თარიღი და სხვა. მოგვიანებით, ვალის გადახდის საპირწონედ სამუშაოს გაწევა ემატება. ვალის სანაცვლოდ სამუშაო ძალის გამოყენება იმ პერიოდში მიმდინარე სოციალური პროცესების ასახვა უნდა იყოს. გლეხი ისედაც ვალდებულია ბატონის წინაშე ზედმეტი სამუშაო გასწიოს, მაგრამ ამ მუხლის გაჩენით, მისთვის სამუშაოს საპროცენტო განაკვეთთან გათანაბრება ხდება, რადგან ვახუშტის სამართლით, გარკვეული სამუშაოს დროის ფასი მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია და ეს კონკრეტული დრო და სამუშაოს ნაირსახეობა ვალის გადახდის მექანიზმი ხდება.

თავი პირველი:

მევახშეობის პოლიტეკონომიკა ფეოდალურ საქართველოში

გლობალურად ვალის ისტორიას ამ ბოლო დროს შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა ამერიკელმა ანთროპოლოგმა დევიდ გრებერმა, სადაც განხილულია ვალის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია სხვადასხვა ცივილიზაციის მაგალითზე, რა განსხვავებები და საერთო ნიშნები ახასიათებს კონკრეტულ ეკონომიკურ რეგიონებს და რა ტიპის ისტორიულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.¹

ვალი და საკრედიტო საქმიანობა უძველესი დროიდანაა ცნობილი. ძვ.წ. 594 წელს სოლონის კანონების საფუძველზე რეფორმა გატარდა, რომლის მიხედვითაც, ვალები ბათილად გამოცხადდა, ვალში ჩადებულ მიწებს კი გირავნობა მოეხსნა. მსხვილ მინათმფლობელთა ხელში მოხვედრილი სამიწო ფონდი კვლავ წვრილ მფლობელებს დაუბრუნდა, მიწიდან აყრილები და ქვეყნიდან გადასახლებულები ისევ საკუთარ მიწას დაუბრუნდნენ. ამგვარი რადიკალური ზომების მიღება, როგორც ფრიდრიხ ენგელსი აღნიშნავდა, მხოლოდ საკუთრების უფლების ხელყოფითაა შესაძლებელი: „ყველა ეგრეთ წოდებული რევოლუცია, პირველიდან უკანასკნელამდე, იმის გამო მოხდა, რომ დაცულიყო ერთი სახის საკუთრება საკუთრების მეორე სახის კონფისკაციით... ეჭვგარეშეა, რომ კერძო საკუთრებამ ორი ათას ხუთასი წლის მანძილზე გაძლება მხოლოდ საკუთრების უფლების შებღალავით შეძლო“.²

¹ David Greaber. Debt: The First 5000 Yers. Brooklyn. Melville House. 2012.

² ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტომი მეორე. თბ. 1950, გვ. 318-319.

ამრიგად, ვალიდან გათავისუფლებულ მწარმოებელს გაეხსნა გზა ახალი კერძო საკუთრების ფორმებისკენ. ფეოდალურ ეპოქაში, როგორც დღეს, მევახშეობა არ ემსახურებოდა პროგრესს, შესაბამისად, ის იწვევდა მეურნეობის დაცემას და გლეხის მდგომარეობის გაუარესებას. კარლ მარქსის სიტყვებით: „მევახშეობა, ერთის მხრივ, არღვევს და ანადგურებს ანტიკურ და ფეოდალურ სიმდიდრეს, ანტიკურ და ფეოდალურ საკუთრებას... თუმცა, არ ცვლის წარმოების წესს... კაპიტალიზმამდელი წარმოების წესის არსებობის დროს მევახშე რევოლუციურ როლს ასრულებს მხოლოდ იმით, რომ იგი არღვევს და სპობს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე ბაზისზე და ერთი და იმავე ფორმით განუწყვეტლივ კვლავწარმოქმნაზე დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება“.¹

მარქსისვე სიტყვებით, კაპიტალისტური წარმოების წინარე ფორმებში მევახშეობა არსებობს ორნაირი ფორმით: 1. ფული სესხად გაიცემა დიდებულებზე; 2. სესხი გაიცემა წვრილ მწარმოებელზე, როგორც ხელოსანზე, ასევე, მიწის წვრილ მესაკუთრეზე. ამგვარი სამევახშეო საქმიანობა აჩანაგებს კონკრეტული ეპოქის მეურნეობას. თუმცა ისმის კითხვა, რამდენად სპობს ის იმ დროს არსებულ წარმოების წესს? მისივე დასკვნით, ეს დამოკიდებულია ისტორიის განვითარების საფეხურსა და გარემოებებზე.²

მევახშეობასა და სავაზშო კაპიტალის არსებობას კონკრეტული ისტორიული მოცემულობა განსაზღვრავს. მისი არსე-

¹ კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტომი მესამე. ნაწ. II ნიგნი III. კაპიტალის წარმოების ერთობლივი პროცესი. თბილისი. 1959, გვ. 171-172.

² კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტომი მესამე. გვ. 169.

ბობისთვის „აუცილებელია მხოლოდ ერთი რამ: პროდუქტის ერთი ნაწილი მაინც საქონლად უნდა გადაიქცეს...“, ხოლო მისი განვითარება დაკავშირებულია: „ვაჭრის კაპიტალისა და სპეციალურ ფულად-სავაჭრო კაპიტალის განვითარება-სთან...“¹

როგორ უნდა გადაიქცეს პროდუქტი საქონლად წიანრე კაპიტალისტური წარმოების პირობებში, კერძოდ ფეოდალურში? რა ტიპის პროდუქტი შეიძლება გადაიქცეს საქონლად? მარტივად რომ ვთქვათ, საქონელს გააჩნია სახმარი და საცვლელი ღირებულება. ნივთი შესაძლოა იყოს სახმარი ღირებულების, თუმცა არ შეიცავდეს ღირებულებას. ნივთი შეიძლება ადამიანის შრომის შედეგად იყოს შექმნილი, მაგრამ არ იყოს საქონელი: „ვინც თავის შრომის პროდუქტით საკუთარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, სახმარ ღირებულებას ქმნის და არა საქონელს. საქონლის საწარმოებლად საჭიროა მან შექმნას არა მარტო სახმარი ღირებულება, არამედ სახმარი ღირებულება სხვისთვის, ანუ საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება“.² ამ კონკრეტულ თეზას ხშირად გაუგებრობა შემოჰქონდა, თითქოს მარქსი თვლიდა, რომ პროდუქტი, რომელსაც მოიხმარს ადამიანი და რომელიც მისი შექმნილი არ არის, ე.ი. პროდუქტს წარმოადგენსო. ამიტომაც, ფ. ენგელსმა შეიტანა მეტი სიცხადე: „და არა მხოლოდ სხვისთვის ზოგადად. ნაწილი პურის მოსავლისა, რომელიც საშუალო საუკუნეების გლეხს მოჰყავდა, ღალის სახით ბატონს მიჰქონდა, ნაწილი მებათედის სახით – მღვდელს, მაგრამ არც ღალა და არც მებათედი არ გადაქცეულა საქონლად იმის გამო, რომ იგი დამზადებული იყო სხვისთვის. პროდუქტი რომ

¹ კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტომი მესამე, გვ. 168.

² კ. მარქსი. კაპიტალი. წიგნი პირველი. განყოფილება პირველი. საქონელი და ფული. ტომი პირველი. თარგმნილი გერმანულიდან მალაქია ტოროშელიძის რედაქციით. ტფ. 1930, გვ. 8.

საქონლად იქცეს, უნდა გაცვლის საშუალებით გადავიდეს იმის ხელში, ვისთვისაც იგი სახმარ ღირებულებას წარმოადგენს“.¹

ამ ციტატების მოხმობა იმისთვის დამჭირდა, რომ სწორედ მათზე დაყრდნობით განვავითარო კონკრეტული მსჯელობა იმ ისტორიული მოცემულობის შესახებ, რომელმაც შესაძლებელი გახადა შუა საუკუნეების საქართველოში მევახშეობისა და სავაზო კაპიტალის არსებობა.

ფეოდალური წარმოების წესი – ბეგარა (რენტა) – სამი ფორმით გვხვდება: 1. შრომა-მიგებითი; 2. ნატურალური; 3. ფულადი. ეს სამივე ფორმა შეიძლება თანადროულად შეგვხვდეს, თუმცა, კონკრეტულად ერთის დომინაცია ყოველთვის შეინიშნება, რის საფუძველზეც წარმოების წესის განვითარების გარკვეული პერიოდიზაცია შეიძლება მოვნიშნოთ.² წინარე კაპიტალისტური წარმოების წესში ზედმეტი ღირებულება ზედმეტი შრომის ეკვივალენტია, როდესაც გლეხი ბატონისთვის დამატებით შრომას ასრულებს, ანუ მიტაცებულ შრომას (გადაუხდეელი შრომა, უეკვივალენტო).³

გლეხი თავის საარსებო საშუალებებს თავადვე აწარმოებს. საკუთარ თავს მის მიერვე წარმოებული პროდუქტებით აკმაყოფილებს. ამ პირობებში როგორ და რანაირად უნდა იქცეს პროდუქტი საქონლად, რომელიც ვაჭრობისა და მევახშეობის აუცილებელი პირობაა? როგორც თავის დროზე შრომა-მიგებითი ბეგარა გარდაიქმნა ნატურალურ (პროდუქტის სახით) ბე-

¹ კ. მარქსი. კაპიტალი. წიგნი პირველი. განყოფილება პირველი. საქონელი და ფული. ტომი პირველი, გვ. 8 (სქოლიო 11ა).

² კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტომი მესამე, გვ. 399-425.

³ აკ. ჩიქობავა. ქართული ფეოდალიზმის პოლიტეკონომიური საკითხები. განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ხელნაწერის უფლებით. თბ. 2019, გვ. 100-126.

გარად, ისტორიული კანონზომიერება ითხოვს, რომ ის ფულად ბეგარად გარდაიქმნას. გარკვეულ ეტაპზე აღარ არის საკმარისი ნატურალური ბეგარა, გლეხმა ბატონს უკვე მისი ეკვივალენტი ფასი უნდა გადაუხადოს ფულის სახით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში პროდუქტის ნაწილი საქონლად გარდაიქმნება.¹ ადრეულ ეტაპზე, როდესაც ფულადი მიმოქცევა ძალიან სუსტია, ბეგარას მცირე ნაწილის ფულად მოთხოვნა სწორედ პროდუქტის საქონლად გარდაქმნის ჩანასახოვან ფორმას უნდა ასახავდეს. ქართული სამართლის ძეგლებში მოიპოვება ცნობები, როდესაც ბეგარა პროდუქტის პარალელურად, ფულადი სახითაც არის შეწერილი. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ-ერთ დოკუმენტს – დაწერილი საკათალიკოსო სოფლების შესავლისა: „**შედგომაჲ; დრ[ა]მ[აჲ] ე; ქრთილ[ი] კაბინ[ი] ა; შედგომაჲ; ვეცხლი დრამაჲ გ; ქრთილი კაბინ[ი] ბ; .. ჟინოვანს დგომაჲ დღე-ღამე გ; ვეცხლი დრამაჲ ლდ; ქრთილი კაბინი ე...**“²

ა. თაბუაშვილის აზრით, XVII-XVIII საუკუნეებში ზოგიერთი ფეოდალური ბეგარა და სახელმწიფო გადასახადი რომ ფულის სახით იკრიბებოდა, ეს სწორედ გლეხის ბაზართან კავშირზე უნდა მიუთითებდეს, რადგან ფულადი გადასახადი სავაჭრო ურთიერთობაში ჩართვის გარეშე წარმოუდგენელი იყო.³

თუ ამ მსჯელობას გავეყვებით, გამოდის, რომ ფულადმა ბეგარამ და სახელმწიფო გადასახადმა გლეხის შრომა-მიგებითი და ნატურალური ვალდებულება, მათ მიერ მონეული პროდუქტის გასაქონლება გამოიწვია. შრომა რომ XVIII საუკუნეში უკვე საქონელს წარმოადგენს, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹ კ. მარქსი. თავი ოცდამეექვსე. კაპიტალიზმამდელი ურთიერთობანი. სარგებელი შუა საუკუნეებში. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტომი მესამე, გვ. 418.

² ქართული ისტორიული საბუთები XI-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. 1984, გვ.73-75.

³ ა. თაბუაშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ. 2020, გვ. 103-106.

დღიურმა შრომამ გარკვეული ფასი შეიძინა და ის უკვე სავალო ურთიერთობაში შემოდის, როგორც სარგებლის ფორმა.

საქართველოში ფეოდალური წარმოების წესის საბოლოო გამარჯვების პერიოდი IX-X საუკუნეებზე მოდის. თუმცა, ამავე პერიოდში შეიძლება იყოს გამონაკლისები, როდესაც თავისუფალი წვრილი მწარმოებელი ჯერ კიდევ არსებობს. მთაში შემორჩენილია ამგვარი საკუთრების ფორმები. მართალია, საერთო სათემო საკუთრება მოგვიანო პერიოდშიც გვხვდება, თუმცა მისი რღვევის საფუძველზე ბარში წარმოშობილი ატომიებული მეურნეობები ახალი საწარმოო ურთიერთობების მსხვერპლი ხდება. გაგლეხების პროცესში თავისუფალი მწარმოებელი ძალმომრეობის შედეგად კარგავს მიწას და პირად თავისუფლებასაც. ამგვარი ურთიერთობების პირობებში ფულადი მეურნეობის განუვითარებელი დონე სავახშო კაპიტალის მცირე მასშტაბით არსებობაზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა, ის სავაჭრო კაპიტალის ხელში უნდა ყოფილიყო აკუმულირებული. ვაჭრობა იმ დროს კორპორაციულ საქმიანობას წარმოადგენდა და ხშირად, ამგვარი ერთობები ეკლესიის შიგნითაც არსებობდა. ეკლესიას თავისი სავაჭრო კოდორპორაცია გააჩნდა, რომელიც პერიოდულად ბაჟისგანაც ყოფილა გათავისუფლებული. გიორგი III-ის სიგელიდან, რომელიც შიო მღვიმის მონასტრიდანაა გაცემული, ვკითხულობთ: „**ეგრეთვე ნ(მიდ)აჲ იგი უდაბნოჲ მღუიმე პ(ირველა)დ და მერე საქონებელნი მათნი უბაჟონია ჩ(უე)ნსა სამეფოსა შიგან ყ(ოვე)ლგან და ჩ(უე)ნცა გაგუითავი-სუფლებია ბაჟისაგან ვაჭარნი და გლეხნი მათნი**“.¹ აქ ბაჟი ზოგადი გადასახადის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს. თუმცა, ერთი რამ ნათელია, მღვიმის მონასტერი საკუთარ ვაჭრებს ფლობს. ბაჟისგან მათი გათავისუფლება ვაჭრობის მოგებას გაზრდიდა. მზარდი აკუმულირებული სავაჭრო კაპიტალის გა-

¹ ქართული ისტორიული საბუთები XI-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. 1984, გვ. 68.

რდაქმნა სავახშო კაპიტალში კი ამგვარი ურთიერთობების კანონზომიერებას წარმოადგენს.

სავაჭრო კაპიტალი რომ მყარად იყო შეჭრილი სამონასტრო ცხოვრებაში, კარგად ჩანს ვაჰანის ქვაბების განგების აკრძალვიდან: **„არავის ძმათაგან ჯელენიფების მონასტერსა ამას შინა ვაჭრობად და თავნობად ანუ მოფარდულება ღვინისა, გინა რაფსაცა სხვისაჲ. არცა ვახშად და აღნადგინებად გაცემაჲ სახმართაჲ მსოფლიოთა გინა დაჭირებულთა ზედა და სისხლთა გლახაკთაჲ განმდიდრებაჲ, რომელი ესე დიდისა უნესობისა არს საზღვარ და დასასრულ ანგაჰარებიითისა სიბოროტისა და ვაჭრობისა უძვირეს არს.“**¹

ვაჭრობა და მევახშეობა რომ უძრავ საქმეს წარმოადგენდა, ნათელია ზემოთ მოყვანილი მუხლიდან. განსაკუთრებულად ერთი რამ არის აღსანიშნავი, მევახშეობაში გამოყოფილია მისი მორალური გახრწნილებისა და ეკონომიკურად გამაჩანაგებელი ხასიათი. მონასტრის განგება პირდაპირ მიუთითებს, რომ გაჭირვებულისა და გლახაკის ხარჯზე გამდიდრება ყოვლად მიუღებელი საქციელია.

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეკლესია ჩართული იყო დაკრედიტების საქმიანობაში. საინტერესოა ე.წ. ნიკორწმინდელის დაწერილი XI საუკუნის დოკუმენტი. ვარაუდობენ, რომ ირიბად პირველად აქ უნდა იყოს ნახსენები ვალთან დაკავშირებული ურთიერთობები: **„მუნვე, ცხილათს, მოვიგე მიწაჲ და მივეც მათვე საკაბალოდ, და მონამე არიან კაცნი“**.²

როგორც აღნიშნავენ, მოგება ყიდვისგან განსხვავებული ფორმაა, ამიტომ მოგება შეიძლება ვალში აღებას გულისხმობ-

¹ „განგება ვაჰანის ქუბთა“ (1204-1234 წწ.). ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტ. III ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძე. თბ. 1970, გვ. 141.

² ქართული ისტორიული საბუთები XI-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. 1984, გვ. 43.

დეს. შესაბამისად, ვალში აღებული მიწა მათვე მიეცათ საკაბალოდ. თავისუფალი მწარმოებელი (ან დასაშვებია ის პიროვნულად სხვისი საკუთრება ყოფილიყო) ვალის გადაუხდელობის გამო კარგავს საკუთრებას, შემდგომ კი სავარაუდებელია, რომ იგი პიროვნულ თავისუფლებასაც კარგავს.¹ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზემოთ განხილულ პროცესებთან. საკუთრების ფორმის ხელყოფით უკვე ფეოდალური საკუთრების გაფორმება ხდება. გვაქვს თუ არა მასშტაბურად წარმოების წესის ცვლილებასთან საქმე, რთული სათქმელია, მაგრამ ამ პერიოდისთვის თავისუფალი მწარმოებლის თითქმის სრული გაგლეხება/დაცმევება სახეზეა. ამ პროცესში სხვა ტიპის ძალმომრეობასთან ერთად, ვალის გადაუხდელობასაც გარკვეული როლი უნდა ეთამაშა.

ის, რომ ვალის სანაცვლოდ ქონების მითვისება ხდება, ამავე დოკუმენტის სხვა მუხლიდანაც ჩანს: „ქველახსძესა შვილთაგან ავიღე საზღავად მიწაჲ შხროს ზ(ედ)ა რუსისძესა თანა, და მონამე არიან კაცნი“.² სხვა მუხლებში, სადაც მონასტრის წინამძღვარი საზღაოდ რაიმე ნივთს თუ ქონებას იღებს, ყოველთვის მითითებულია მიზეზი, რის სამაგიეროდ მიაქვს საზღაო. ერთგან მოპარული ცხენის საზღაურია, მეორეგან, ვინმე მლილას დაუჭრია ეკლესიის კაცები და ა.შ.³

ჩემი დაკვირვებით, რადგან ქველახსძისგან წაღებული მიწის საზღაურის დაკონკრეტება არ ჩანს, საქმე უნდა გვექონდეს სავალაო ურთიერთობასთან. აქ ორი სავარაუდო გარემოების გამოყოფა შეიძლება: 1. ქველახსძის შვილთაგან წაღებული მიწა ნაწილობრივ თანა ედვათ, ანუ საწილოდ ჰქონდათ რუსისძესთან ან 2. დასაშვებია, რომ რუსისძე ეკლესიის კაცია და მის

¹ მ. ბერძნიშვილი. სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კლასობრივი ბრძოლა. გვ. 31-32.

² ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 41.

³ ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 40-41.

მიერ გაცემული ვალის სანაცვლოდ ხდება მიწის წაღება, რადგან პატრონს უფლება უნდა ჰქონოდა თავისი ყმის ვალზეც. ქართულ სამართალში მიღებულია ნორმა, თუ გლეხი იღებს ვალს, მას ბატონი უნდა ჩაუდგეს თავმდებად, რადგან ვალის სანაცვლოდ ჩადებულ ქონებაზე ბატონის უფლება ძირითად შემთხვევაში შეუზღუდავია, თუ ეს მიწა არ წარმოადგენს პარტახისგან გაშენებულს.

მომდევნო დოკუმენტი ვალის აღებისა თარიღდება XIII საუკუნის შუა წლებით. ვალის ამღებები არიან კავთულა და თევდორე ბურჯულები, რომლებიც ვალს იღებენ სვეტიცხოვლის მონასტრის მოძღვრისგან, დემეტრე ტოხუაისძისგან. ამგვარი დოკუმენტების შედგენას თავისი წესი ჰქონდა. უნდა ყოფილიყო მოცემული, თუ რისთვის გაიცემოდა ვალი; შემდგომ უნდა მიეთითებინათ ვალისა და პროცენტის ოდენობა და ვადა; ბოლოს კი უნდა ჰყოლოდათ მონმეები, რომლებიც ესწრებოდნენ სავალო ხელშეკრულების გაფორმებას.

„ქ. სახელითა ღ(მრ)თისაჲთა და თავსდებობითა სუეტისა ცხოველისაჲთა ესე დაწერილი დაგინერეთ ჩ(უ)ენ, ბურჯელთა: კავთულამა და თევდორემა და ჩ(კ)ენთა შვილთა: ბასილმა და მშუილამა.

დაგუეჭირუა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობისგან და ავიღეთ თქუენ მოძღუარისაგან დემეტრესაგან(ნ) ტოხუაისძისაგან(ნ) სამოცი თეთრი დეკენბერსა ათსა და გაგიჩინეთ ოცი კოკაჲ ტკბილი წელიწადსა შიგა მზაჲ, რომე უსიტყუელადა ჯელთა მოგაჴსენებდეთ, ვირემდისცალა ამა თეთრსა შენსა ჯელთა მოგაჴსენებდეთ.

ამისანი მოწამენი არიან ჯარაისძეები და წამალაისძენი“.¹

მოცემულ დოკუმენტში საუბარია ვალის აღების კონკრეტულ მიზეზზე, **„დაგუეჭირუა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობი-**

¹ ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 94.

საგან“. ამ შემთხვევაში კავთულა და თევდორე გლეხები უნდა იყვნენ.¹ ისინი, სავარაუდოდ, ერთ ფუძეს წარმოადგენენ, რომელთაც ბატონის წინაშე გარკვეული ბეგარა აკისრიათ. ბეგარა კი ამ პერიოდისთვის ნატურალური პროდუქტით გადაიხდება. უამინდობა პირდაპირ აისახებოდა მოსავლიანობაზე, მოსავლის სიმწირე კი გლეხის შემოსავალზე, საიდანაც 1/3 ბატონს ეკუთვნოდა. დოკუმენტიდან ჩანს, რომ უამინდობის გამო მოსავლიანობა დაბალი უნდა ყოფილიყო, რამაც მათ ვალის აღებისკენ უბიძგა.² სხვა დოკუმენტიდან ვიცით, რომ თუ მოსავალი არ იქნება, გლეხმა მაინც იმდენივე უნდა გადაიხადოს, რამდენიც შეწერილი აქვს. კახა თორელის დოკუმენტში, მართალია, საუბარია ზვრებასა და ხოდაბუნდებზე, რომელიც შეწირულია რკონის მონასტრისთვის, თუმცა, ნიშანდობლივი ფაქტია აღნიშნული: „**და ესე ნუ ოდეს იმიზეზების თუ: ნელს არაჲ მოსრულაო. და ნუ მოაკლდების ესე ჩემი გაჩენილი...**“³

ვალის აღების მიზეზი რომ გადასახადია, ნათლად ჩანს დოკუმენტიდან, რადგან მსესხებლებს **დაეჭირვათ ხარაჯობისგან**. ხარაჯა შუა საუკუნეების საქართველოში საადგილმამულო გადასახადს აღნიშნავდა. მართალია, ამაგვარი გადასახადი არაბების დროს შემოვიდა საქართველოში და სახელმწიფო ხარკს და გადასახადს აღნიშნავდა, თუმცა ტერმინმა მოგვიანებით გარკვეული ცვლილება განიცადა.

როგორი უნდა ყოფილიყო საპროცენტო განაკვეთის გავლენა საგლეხო მეურნეობაზე?

¹ ბურჯელთა აზნაურული წარმოშობის შესახებ არსებობს მოსაზრებები. ამის შესახებ, უფრო დანვრილებით იხილეთ: თ. გოგოლაძე. ბასილი მემღვიმის და მისი ძმის, ბემქენის სააღმშენებლო წარწერა ბჭითების ეკლესიიდან (წარწერის ტექსტის დაზუსტება; ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი). ქრონოსი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი. 4. თბ. 2023, გვ. 23-37.

² ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 94.

³ ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 150.

კახა თორელის დაწერილიდან ვიცით, რომ 1 კოკა ღვინო 24 ლიტრი იყო, რომლის ფასი საშუალოდ 1,3 თეთრი უნდა ყოფილიყო.¹ როგორც ა. თაბუაშვილმა გამოთვალა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში 60 თეთრზე გაციემული სარგებლის, 20 კოკა ტკბილის ფასი 20 თეთრი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ვალის საპროცენტო სარგებელი თანხის მესამედს შეადგენდა, დაახლოებით 33,3%-ს.² ამგვარი პროცენტული სარგებელი უნდა ყოფილიყო XVIII საუკუნის დასაწყისშიც. პ. გუგუშვილის დაკვირვებით, მსესხებელს ერთი მარჩილის (3 აბაზი) სანაცვლოდ ერთი კოკა ტკბილი ან ოთხი კოდი ხორბალი, ან სულაც, სამი აბაზი უნდა მიეცა, რაც მისი დაანგარიშებით 33,3% გამოდიოდა.³ ზოგადად, ქართული სამართლის ნორმები ადრე არსებულ ნორმებზე უნდა იყოს დაფუძნებული და თუ შევადარებთ ადრეულ დოკუმენტებსა და მოგვიანო პერიოდის სამართლის ძეგლებს, აღმოვაჩენთ, რომ ეპოქების სხვაობის მიუხედავად, მუხლის ნორმები ხშირად იდენტურია. თეთრის გასესხების შემთხვევაში ტკბილის გადახდის ოპერაცია ვახტანგ ბატონიშვილის სამართალმა შემოგვინახა: **„ერთი რიგი ვალი ეს არის, რომე სამს აბაზს თეთრს მისცემენ და სანამდინ თეთრი აქუს, ახალზე თვითო კოკა ტკბილი უნდა აძლიონ სარგებელი“**.⁴ ვახტანგ ბატონიშვილი ვალის სარგებლის გაციემის ნორმის დადგენისას, თუ ის წონაში გაიცემა, წონა/ზომის ნორმებსაც განსაზღვრავს: **„ადგილი არის, კოკა რვა ლიტრა არის, ადგილი არის – ათლიტრიანი, ადგილი არის – თორმე-**

¹ ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.). თბ. 2019, გვ. 68.

² ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 68.

³ პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი მეორე. თბ. 1956, გვ. 167.

⁴ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. 2. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 513.

ტიანი, ადგილი არის – თექუსმეტიანი, ადგილი არის ოცდაოთხლიტრიანი“.¹

კახა თორელის დანერვილიდან ვიგებთ, რომ მონასტრისთვის სულის მოსახსენიებლად შეწირულ გლეხთა კომლის გამოსაღები 8 თეთრი ყოფილა, აღნიშნული 6 კოკა ღვინით იანგარიშება, მანამდე კი ამავე კომლებს 12 კოკა ჰქონიათ შეწირული.² გამოდის, რომ მანამდე გლეხების კომლს 16 თეთრი ჰქონდათ შეწერილი. კახა თორელის დოკუმენტი 1260 წლით თარიღდება, რომლის რეალიები ახლოსაა ჩვენ მიერ განხილულ სავალო დოკუმენტთან. ისიც მართალია, რომ ამ პერიოდის საქართველოში, კერძოდ კი ქართლში გლეხებზე შეწერილი გამოსაღები უნივერსალიზებული უნდა ყოფილიყო, კონკრეტული გამონაკლისების გარდა. ამ პერიოდის სრულფუძიანი გლეხის კულუხის გადასახადი 120 ლიტრით განისაზღვრა, რაც მოწეული მოსავლის 1/6 ყოფილა.³ რკონის დანერილზე დაკვირვებით, ა. თაბუაშვილი ასკვნის, რომ XIII საუკუნის შუა ხანებისთვის ერთი სრულფუძიანი გლეხის მიერ ბატონისთვის გადახდილი **პროდუქტის ფასი 38-40 თეთრს შეადგენდა**.⁴ თუ მოცემულ გამოთვლასა და ბურჯელთა სასესხო დოკუმენტს შევადარებთ, შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ძმებმა, რომელთაც უამინდობის გამო მოსავალი ნაკლები მოუვიდათ, თევდორე ტოხუაისძისგან ისესხეს 60 თეთრი, აქედან პირობითად, სრულფუძიანი გლეხის ნატურალური ბეგარას ფასი გამოდის 38-40 თეთრი, ალბულ 60 თეთრზე კი სარგებელი წელიწადში უნდა გაცემულიყო 20 თეთრი, რაც, თავის მხრივ, ზემოთ გამოთვლილი საბეგრო ვალდე-

¹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 513; ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 149.

² ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 149.

³ ა. თაბუაშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, გვ. 110.

⁴ ა. თაბუაშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, გვ. 111.

ბულების ნახევარს შეადგენს. მოცემული დაანგარიშება პირობითად სრულ ფუძეს შეესაბამება. ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ ნაკლებმნიანი საგლებო ოჯახი უფრო რთულ ვითარებაში ჩავარდებოდა ვალის აღების პირობებში. მოკლედ რომ შევაფასოთ: გლეხი, რომელიც ვალდებულია ბეგარა გადაიხადოს, მოუსავლიანობის გამო იღებს ვალს, რათა ბატონთან გასწორდეს. ვალის პროცენტი მის მეურნეობას აწვება. მომდევნო წელს კარგი მოსავლის პირობებში, ბატონს კვლავ 38-40 თეთრი უნდა გადაუხადოს, 60 თეთრი ვალი დააბრუნოს, წელიწადში კი მის სარგებელში 20 თეთრის ეკვივალენტი ტკბილი გადაიხადოს. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, სავსებით მართლზომიერია კ. მარქსის დაკვირვება კაპიტალიზმამდელი პერიოდის მევახშეობაზე: „ამ ეპოქაში მევახშემ სარგებლის ფორმით შეიძლება შთანთქას მთელი ის ნამეტი (ის, რაც შედეგში მოგებასა და მიწის რენტას შეადგენს), რომელიც აღემატება მწარმოებლის აუცილებელ საარსებო საშუალებებს (რაც შემდეგში მის ხელფასს შეადგენს) ...“¹

საპროცენტო განაკვეთი საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული უნდა ყოფილიყო. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც XIII საუკუნეში გაცემული თეთრის სარგებელი და ვახტანგის ეპოქის სარგებელი იდენტურია. ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში, ნამეტის უნივერსალიზაციაც შეგვიძლია.² გიორგი V-ის ძეგლისდების მიხედვით, არც ქართველთა და არც უცხოელთა წესი არ არის სარგებლის მიღება, მაგრამ თუ მონდომოს („ავი იყოს“), 20% უნდა გამოართვას, გასესხებულმა

¹ კ. მარქსი. კაპიტალი. კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი. წიგნი მესამე. ნაწილი მეორე. თბ. 1959, გვ. 170.

² მაგალითად, კარლოს დიდის პერიოდში მევახშეობად ითვლებოდა, თუ ვინმე სარგებელში 100% აიღებდა. ციურისის საბჭომ 43% განსაზღვრა სარგებლად. იტალიაში 40% ყოფილა, თუმცა, XII-XIV საუკუნეებში ნორმალური განაკვეთი 205 გამხდარა. ვერონას 125 დაუნესებია. იმპერატორ ფრიდრიხ II-ს (1220-1250 წწ.) ებრაელებისთვის 10% განუსაზღვრავს სარგებლად.

ფულმა რა დროც უნდა დაეყოს მსესხებლის ხელში.¹ ვახტანგის სამართლის მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 12-დან 120%-მდე მერყეობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 30%-ს ზემოთ სამართალი უნესობად მიიჩნევდა, ზუსტ და საუკეთესო განაკვეთად კი 12%-ს სახავდა. იყო შემთხვევები, როდესაც ღვინო და პური 267, 300 და 400 პროცენტშიც გასესხებულა. სამართლის წიგნი სარგებლის აღებას მკაცრად კრძალავდა. მიუხედავად ამისა, ამგვარი ყვლეფის ფაქტები მრავლად გვაქვს.²

ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად დავალიანება მორალურ დეგრადაციასაც იწვევდა. ამის ნათელი მაგალითია 1675-1685 წლებით დათარიღებული დოკუმენტი:

„ქ. ხოლუაშვილები გაიყარნენ, ბატ[ონ]თან იჩივლეს, ვალზედ დეობდეს და ხოსიკა აღარ მიუდგა, ასე უთხრა: „ჩემი და ქიოტიშვილს ყავსო და ჩემი კერძი ვალი იმაშიდ გამიბარებია, ვალს აღარ გადავიხდი“.

და ეს ბატობმა უწყინა ხოსიკასა.

ახლა ამ ძმებმა უთხრეს ხოსიკასა. მაუკამა და გიგიამა: „ეს გოგო სწორეთ გამოვიყენოთო და ვალიც სწორეთ გადავიხადოთო. და ხოსიკამ აღარ ქნა: „ჩემ კერძ ვალშიდ ჩემი და მიმიცია“.

ახლა ხოსიკას უბძანა ბატონმა პაატა აბაშიძემ: „ცოდვა და მაღლი შენი იყოს შენი დისა“.³

როგორც ვხედავთ, დაკრედიტებული ხოსიკა, თავისი ვალის წილში საკუთარ დას გასცემს, მიუხედავად ძმების წინააღმდე-

¹ სამართალი მეფისა გიორგისა. მუხლი 46. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 220-221.

² ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 82-87; პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტომი მეორე. თბ. 1956, გვ. 164-172.

³ ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), გვ. 150.

გობისა. ამ კონკრეტულ ეპიზოდში ახალი საკითხი წამოყვას თავს – ქალის, როგორც საცვლელი ერთეულისა. ხოლუაშვილები, სავარაუდოდ, გლეხები არიან, რადგან აზნაურიშვილის ვალში დატოვება ფეოდალური პერიოდისთვის ყოველად წარმოუდგენელია. ის, რომ გლეხი თვითონ წარმოადგენს ბატონის საკუთრებას, როგორც სანარმოო საშუალება, საგლეხო ფუძეში შიდა იერარქიულ სისტემასაც აყალიბებდა, რადგან ძმას საკუთარ დაზე, პირობითად, როგორც სანარმოო საშუალებაზე, გარკვეული უფლება ჰქონდა. ძმების წინააღმდეგობის მიუხედავად, ხოსიკას პოზიცია მისი ოჯახის უფროსობით ხომ არ უნდა იყოს გამოწვეული? ბატონი ამ შემთხვევაში ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის და გადაწყვეტილებას ხოსიკას მორალურ პასუხისმგებლობად აფასებს. ღიმილის მომგვრელია ბატონის პოზიცია, როდესაც ამგვარ სანარმოო ურთიერთობების პირობებში მრავლად გვაქვს ბატონის მიერ გლეხის დაგირავების თუ ვალის სანაცვლოდ გაცემის ან გაყიდვის ფაქტები. ერთი შეხედვით, მმართველი კლასის მორალური უპირატესობა სწორედ მათ მიერ შექმნილი და კანონებით გამყარებულ ყვლეფაზე დაფუძნებული სისტემის მიერ აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობების შედეგია.

ვახუშტი ბატონიშვილის სამართალში შემავალი სომხური სამართალი შვილის გირაოში გაცემის ფაქტსაც იცნობს: მუხლი 133: „**[თუ] მუახლე მისცეს გირაოდ, მისი სამსახური უნდა იყოს თეთრის სარგებელი. თუ შვილი მისცეს, პატრონისა არის: რა მისი თეთრის მართებული სარგებელი აუთავდეს, თავისი თავისავე პატრონს დააწსნევიოს**“.¹ როგორც დოკუმენტიდან ჩანს, სარგებელში კონკრეტული ადამიანის სამუშაო ძალა გაიცემა. სამუშაოს დრო და ოდენობა განსაზღვრული არ არის. შესაბა-

¹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. 2. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 262.

მისად, არ ჩანს, რა სამუშაოს ჩატარება უწევს გირაოში ჩადებულ ადამიანს. თუმცა, სავარაუდოა, რომ ის ისეთივე დროსა და შრომის ოდენობას დახარჯავდა, რამდენსაც ბატონის სასარგებლოდ მომუშავე გლეხები.

ვალი პიროვნულ დამოკიდებულებასთან ერთად ქონების სრულ დაკარგვასაც იწვევდა. ის, ვინც სხვის ყმობაში არ გადადიოდა, იძულებული იყო, მოჯამაგირედ ან დღიურ მუშად ემუშავა. სამუშაო ძალის გასაქონლება და შესაბამისი ფასის განსაზღვრა ფულადი ბეგარის დაწინაურებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ყოველივე ამას თან სდევდა, უფრო მეტიც, წინ უსწრებდა „ქონებამოკლებულ და ფულით დასაქირავებელ დღიურ მუშათა კლასის წარმოქმნა“.¹ როგორც ვახტანგ VI-ის პერიოდის, ასევე ზოგადად, XVIII საუკუნის დოკუმენტებში მრავლადაა აღწერილი დაქირავებული დღიური შრომის ფაქტები, გარკვეული ხარჯისა და ანაზღაურების მითითებით.²

უშუალოდ ვახტანგ ბატონიშვილის სამართალში ვალის სანაცვლოდ გაწეული სამუშაო დღის შესაბამისობა სარგებელთან გარკვევითაა აღწერილი. მუხლი 119: **„არის კიდევ მარჩილი ასრე გაცემული, რომე მარჩილის სარგებელად ოთხი მუშა უნდა უმუშაოს ან მარჩილის თავს წელიწადში ერთი აბაზი სარგებელი მოსცენ“**.³ ვახტანგისივე სამართლის 130-ე მუხლში ნათლადაა გაწერილი მუშის დღიური სამუშაოს სარგო: „დღეში მუშა ერთ შაურად იმუშავებს და მარჩილი წელიწადში ერთ აბაზს მოიგებს“. ა. თაბუაშვილის გამოთვლით, XVIII საუკუნის შუა ხანებისთვის შიდა ქართლში მუშის დაქირავება, მისი გამო-

¹ კ. მარქსი. კაპიტალი. კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი. წიგნი მესამე. ნაწილი მეორე. თბ. 1959. გვ. 421.

² იხ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938.

³ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. 2. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 513.

კვების ხარჯებითურთ, 1,5 შაურად ყოფილა შესაძლებელი. ამ პერიოდის 1,5 შაური კი სწორედ ვახტანგის ეპოქის 1 შაურის ტოლფასი ყოფილა.¹ შესაბამისად, ოთხი დღე 4 შაური გამოდიოდა, რაც თავის მხრივ, 1 აბაზს უდრიდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგის დროს ერთ მარჩილზე სარგებელს 1 კოკა ტკბილი ან ოთხი კოდი ხორბალი, ან 4 დღე მუშაობა, ან 1 აბაზი წარმოადგენდა. იმ პერიოდისთვის ერთი კოკა ტკბილი 1 აბაზი ფასობდა, დღიური მუშაობა – 1 შაური, ოთხი დღის სამუშაო კი 1 აბაზს უდრიდა.² ამგვარი იყო მოგვიანო პერიოდის ვალის სარგებელში განეული სამუშაოს ოდენობა და მისი პროცენტული შესაბამისობა.

მევახშეობა მძიმედ აწვებოდა მწარმოებელ კლასს, როგორც საკუთარი დავალიანების, ასევე, ბატონის მიერ სავახშო ვალდებულების აღების დროსაც. საკუთარი ვალის გადასახდელად მას არა მარტო ბატონისთვის უნდა ეწარმოებინა ზედმეტი ღირებულება ზედმეტი შრომის სახით, არამედ ამგვარი ღირებულების წარმოება უკვე მას მევახშის სასარგებლოდაც უწევდა, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა საგლეხო მეურნეობას და მის ოჯახს. ბატონის მხრიდან ვალის აღების შემთხვევაში კი სარგებლის გადახდა, რა თქმა უნდა, ასევე, საგლეხო მეურნეობას აწვებოდა. ამგვარი შრომა კი, ასევე, გაორმაგებულ ზედმეტ ღირებულებას აწარმოებდა. ხშირად გლეხი ვალის სარგებელში გაიცემოდა ან მწარმოებელი ვალის გადაუხდელობის, ან ვალისგან თავის დაღწევის სანაცვლოდ თავის თავს ყიდდა. ასეთი ფაქტი შემოგვინახა XVII საუკუნის დოკუმენტმა: **„ჩემი თავი ჩემის ნებით მოგყიდე მე ქიმათელმა არაქელას შვილმა ზურაბამა და ჩემმა შვილმან პაატანამ... მევალებმა ძალა მი-**

¹ ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.), გვ. 288-289.

² პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი მეორე. თბ. 1956, გვ. 167 (შენიშვნა სქოლიოში).

ყვეს, გარდახდა არა შემეძლო, მოველ და შემოგეხვენე; მევა-
ლებს მამარჩინე, ვალი რაც მემართა გარდამიხადე და გეყმევ
და მზითვის მუახლე შევირთე თქვენი, მოგყიდე ჩემი შვილიც
თქვენ...”¹ როგორც ვხედავთ, ვალით შეწუხებულმა არაქელამ
არა მარტო თავისი თავი, არამედ შვილიც გაყიდა. ვალის გა-
დაუხდელობის გამო არაქელა შვილითურთ ყმობაში შედის. პ.
გუგუშვილის დაკვირვებით, მევახშეობას საქართველოში არა
თუ არ უთამაშია ფეოდალური წარმოებისა და საკუთრების და-
მრღვევის როლი, არამედ მის კონსერვაციას უწყობდა ხელს,²
მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაღაც ეტაპზე მის კვლავნა-
რმოებას ახდენდა.

ზემოთ მოხმობილ სამართლის ძეგლებზე დაყრდნობით,
საკრედიტო საქმიანობაში პროცენტული განაკვეთის განსა-
ზღვრა რომ სახელმწიფოს საქმე იყო, ნათელია. მიუხედავად
იმისა, რომ ზოგჯერ სარგებელი სამართლის კონკრეტული ნო-
რმით იყო განსაზღვრული, მევახშე ხშირად სარგებელში მეტს
იღებდა. პ. გუგუშვილი „ისტორიანი და აზმანის“ ერთ პასაჟზე
დაყრდნობით ასკვნის, რომ სახელმწიფოს პრეროგატივა ყო-
ფილა მოვალეთა დახსნა ვალთაგან, ვალისა და სარგებლის
მოსპობა. ძნელი სათქმელია, რა სახით აკეთებდა ამას სახელ-
მწიფო, საკანონმდებლო თუ ერთჯერადი აქტით,³ მაგრამ ერთი
რამ ნათელია, ქვეყნის მმართველმა „იხსნა მოვალენი ვალთა-
გან და მისცა ობოლთა ღონე და ქურივთა ხელმწიფება განქო-
რინებად, დაღონიერ -ყვნა გლახაკნი...”⁴.

¹ საქართველოს სიძველენი. ტომი მეორე. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1909, გვ. 180-181.

² პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითა-
რება XIX-XX სს. ტომი მეორე. თბ. 1956, გვ. 186.

³ პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითა-
რება XIX-XX სს. ტომი მეორე. თბ. 1956, გვ. 166.

⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. რედაქტორი რ.
მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 204.

თავი მეორე:
გლეხი ქართულ საისტორიო საბუთებსა
და სამართლის ძეგლებში
(პირველადი დაკვირვების შედეგები)

„მაგრამ იმის თქმა, რომ დოკუმენტაცია „შერყვნილია ინტერპრეტაციებით“, ნიშნავს, ჯეროვნად არ დააფასო ინკვიზიტორთა ანთროპოლოგიური გამჭრიახობა“.

კარლო გინძბურგი

შუა საუკუნეებში გლეხი ძირითად საწარმოო საშუალებას წარმოადგენდა. ბატონს უფლება ჰქონდა გლეხი მიწიანად ან უმიწოდ გაეყიდა. საბეგრო ვალდებულება მომდინარეობდა გლეხის დამოკიდებულებისგან, ბატონის მიწას ამუშავებდა ის თუ მას პიროვნულად ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხი ქართული სამართლის ძეგლებში უამრავჯერ იხსენიება, ის მაინც არ წარმოადგენს სუბიექტს შუა საუკუნეებში, როგორც ყველგან, ფეოდალური ურთიერთობების განმავლობაში. მაგალითად, ე.წ. ნიკორწმინდელის დანერილში ვკითხულობთ, თითქოს წინამძღვარი გლეხისგან ყიდულობს მიწას. მაშინ ისმის შეკითხვა: თუ გლეხი თვითონ წარმოადგენს საწარმოო საშუალებას და სხვის საკუთრებას, საიდან გააჩნია მას უფლება მიწაზე, რომელიც იმ პერიოდისთვის სიმდიდრის ერთ-ერთი წყარო და საწარმოო საშუალებაა? ქართული დოკუმენტებისა და სამართლის ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნიკორწმინდის დანერილში ან სხვა დოკუმენტებში გლეხის მოხსენიება მიწის ყიდვასთან დაკავშირებით რეესტრისთვის აუცილებელი პირობაა, რადგან გლეხი კი არ არის მიწის მესაკუთრე და უშუალო გამყიდველი, არამედ ის ეკუთვნის ბატონს, მის გარეშე არანაირი ოპერაციის ჩატარება არ შეუძლია.

ბექას სამართლის 76-ე მუხლში ვკითხულობთ, თუ გლახმა მისი პატრონის ხელ-ჩაურთავად გაყიდოს რამე, ბატონს შეუძლია, არ დათმოს ან გაყიდულის საზღაური გამყიდველისგან აიღოს.¹

ბექას სამართლის 45-ე მუხლის თანახმად, საკარგავის ან საგლეხო მამულის შემთხვევაშიც, თუ ბატონის მონაწილეობა არ ჩანს, ბატონს შეუძლია გაყიდული არ დათმოს ან გაყიდულის ფასი, როგორც გამყიდველისგან, ისე მყიდველისგან ნახევარ-ნახევარი აიღოს.²

როგორც სამართლის ძეგლებიდან ირკვევა, გლახს, არა მხოლოდ მიწის გაყიდვა არ შეეძლო ბატონის უკითხავად, არამედ, მიწაზე არსებული ნაგებობისა თუ დამხმარე საწარმოო საშუალებებისაც.

სამართლის მიხედვით, გლახი ვალდებულია მის ფინანსურ ოპერაციებში ბატონი ჰყავდეს ჩარეული ან როგორც ხელჩამრთველი. თუ მაგალითად, გლახი გლახს თავდებად დაუდგებოდა, აღნიშნული პიროვნება საპატიო კაცის გლახი უნდა ყოფილიყო და მისი პატრონის ხელჩართვაც აუცილებელი იყო.³

ამ სამართლის ნორმების მიხედვით, გლახს არანაირი უფლება არ გააჩნია, არათუ სამართლის სუბიექტი ყოფილიყო, არამედ ყიდვა-გაყიდვის დროსაც. გლახის მიერ მიწის გაყიდვის ფაქტის რეგისტრაცია მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მეზობლებს ასხვისებს გარკვეულ ნაკვეთს. მხოლოდ გლახის, საგლეხო კომლის, როგორც ამ მიწის მფლობელისა და ფისკალური სუბიექტის, როგორც პროდუქტის შემქმნელის დაფიქსირება წმინდა ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარეობს. გლახობის დაფიქსირება ყიდვა-გაყიდვის რეესტრში აუცილებელია მხო-

¹ ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 322.

² ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 305-306.

³ ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 150.

ლოდ იმიტომ, რომ აღწერილი იყოს გაყიდულ მინაზე რომელი გლეხი ზის.¹

ქართულ საისტორიო დოკუმენტებში, ძირითადად, მაღალი კლასის სურვილები და მოთხოვნებია წარმოდგენილი, რაც ლოგიკურია. მათ ხელშია საგანმანათლებლო და სასამართლო სისტემა. ქვეყნის 4%-მა იცის წერა-კითხვა და ძალაუფლება, თანხმობის წარმოება მათ ხელშია. ქართული ეკლესია მონოპოლისტია განათლებაზე. ანტონიო გრამშის თანახმად, შუა საუკუნეების ინტელიგენციას (ორგანულ ინტელიგენციას) წარმოადგენენ საეკლესიო პირები, რომლებიც მონოპოლიას ფლობენ იმ დროის მეცნიერებასა და ფილოსოფიაზე, მორალსა და სამართალზე.² ფეოდალიზმის გამარჯვებასთან ერთად, საბოლოოდ იმარჯვებს მაღალი კლასების ენა და ის სისტემის გაძლიერებასა თუ გაფართოებას ემსახურება. გლეხი, როგორც სუბიექტი, რა თქმა უნდა, გამქრალია, უფრო სწორად, როგორც სუბიექტი არ არსებობს. ის მხოლოდ რეესტრის მონაცემებისთვის გამოიყენება. თუმცა, სანამ ფეოდალური ურთიერთობები საბოლოოდ გაიმარჯვებდა, ბრძოლა მიმდინარეობდა ე.წ. მაღალ სტილსა და ხალხურ მეტყველებას შორის. ნიკო მარმა აღნიშნული პროცესი ადიშის ოთხთავის მაგალითზე შენიშნა.

ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვება მტკივნეულად მიმდინარეობდა: მოსახლეობის სრული გაგლეხება, თავისუფალი მწარმოებლების გაქრობა, მიწების კოლონიზაცია. თუ კაპიტალისტური წარმოების დამკვიდრებას თან ახლავს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი, ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების პროცესის თანმდევად შეგვი-

¹ აკ. ჩიქობავა. მიწის ყიდვა-გაყიდვის პოლიტეკონომია ფეოდალურ საქართველოში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII. თბ. 2020, გვ. 79-108.

² A. Gramsci. Prison Notebooks. The Intellectuals. The Formation of the intellectuals. An anthology of western Marxism. Oxford University press .1989, გვ. 113-119.

ძლია პირობითად წარმოვიდგინოთ ფეოდალური დაგროვება, სადაც თავისუფალი მეთემე სრულად დამოკიდებული ხდება, ანუ წარმოიქმნება გლეხოზა, როგორც კლასი, ქონების კონცენტრაცია ხდება ერთეულების ხელში, იცვლება წარმოების წესი და საკუთრების ფორმა. ამ პროცესს ივანე ჯავახიშვილი, სოციალურ ტეხილს უწოდებს. სიტყვები მნიშვნელობასა და შინაარსს იცვლიან. მაგალითისთვის, სიტყვა „სოფელი“, რომელიც აღნიშნავდა ქვეყანას, მსოფლიოს, VIII საუკუნიდან იცვლის სემანტიკას და დღევანდელი მნიშვნელობით მკვიდრდება. მაგალითად, დაბა წარმოადგენდა დასახლებულ პუნქტს, როგორც დღეს ვიყენებთ, თუმცა, იქ მცხოვრებს ეწოდებოდა *მდაბიორი*, *მდაბიო ერი*, *მდაბიური*, ანუ *ერი/ხალხი*, რომელიც დაბაში ცხოვრობდა. ისინი საერთო/სათემო საკუთრების ფორმით ფლობდნენ მიწას და შრომის ორგანიზებას საზოგადოებრივი ფორმა ჰქონდა. ახლად გაძლიერებული კერძო საკუთრების ფორმა კი გვაროვნულისა და სათემო საკუთრების მტერი იყო. მას უნდა მოესპო ის, რათა მიწები თუ ადამიანები კონკრეტული სამხედრო პირების პირად საკუთრებაში გადასულიყო. სწორედ ამ პროცესში იცვლის მნიშვნელობას სიტყვა *მდაბიო ერი*, *მდაბიო* და VIII-IX საუკუნეების შემდეგ იხმარება დღევანდელი მნიშვნელობით. მარგინალიზება ხდება თავისუფალი მწარმოებლის ან მათი, ვინც ადრე თავისუფალ მეთემეს წარმოადგენდა და დღეს უკვე საკუთრებით თუ პიროვნულად კონკრეტული ოჯახისადმი ვალდებულებაში იმყოფება. შესაბამისად, სისტემამ უნდა მოახდინოს მათი მარგინალიზება, ვინც დაამცრო და დაიმორჩილა.¹

იმავე კატეგორიას მიეკუთვნება ტერმინი „გლეხი“, რომელიც მეცნიერთა დაკვირვებით, სიტყვა „გლახადან“ უნდა იყოს ნაწარმოები. შესაბამისად, გლეხი, რომელიც მანამდე არ არსებობდა

¹ იხ. აკ. ჩიქოვაძე. კლასობრივი ენის საკითხი და ფეოდალური ურთიერთობები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV. 2018, გვ. 115-130.

როგორც კლასი, „ფეოდალური რევოლუციის“ პირობებში ჩნდება. იგი ამიერიდან დაექვემდებარება ახალშექმნილ ფეოდალურ კლასს, რომლისთვისაც საფუძველშივე ნეგატიური დატვირთვა უნდა მიენიჭებინათ, თითქოს მათი ბრძოლა საერთო საკუთრების შენარჩუნებისთვის არალეგიტიმური იყო.¹

ამ ყველაფრის პარალელურად, ფეოდალის აღმნიშვნელი სიტყვა მაღალ შეფერილობას იძენს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს პროცესი ერთნაირია ყველგან, სადაც საკუთრებისა და წარმოების ფეოდალური წესი არსებობდა, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა თუ ეკონომიკური სისტემების დაშორიშორებისა. მაგალითად, პატრონი, ფეოდალი ქართულმა ენამ მონიშნა როგორც უფალი. იგივე პროცესია ლათინურ ენაში, სომხურსა თუ რუსულში. Dominus გახდა ფეოდალის აღმნიშვნელი სიტყვა, ისევე როგორც სომხური ტერ და რუსული Господи.²

ასეთია ფეოდალიზმის ეკონომიკური და კულტურული განზომილება, თუ როგორ ქმნის იგი თანხმობას, ოღონდ უკვე ხმლით მოპოვებულ წესრიგში. ე.წ. ევროპული ჰარმონიული საზოგადოების დანაწილება: მეომარი, მლოცველი, მშრომელი ქართულ რეალობაშიც წარმოჩინდება. „ვეფხისტყაოსანში“ ნათლად დაფიქსირებული „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“. ეს იმ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი შრომის დანაწილებაა, სადაც სოციალური მობილობა შეუძლებელია. ყველა იქ იცხოვრებს, რომელ საზოგადოებრივ ფენაშიც დაიბადა.³

¹ ილ. აბულაძე. ძველი ქართული ლექსიკონიდან. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. ტ. I. თბ. 1959, გვ. 170; ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 1961, გვ. 120.

² იხ. აკ. ჩიქობავა. კლასობრივი ენის საკითხი და ფეოდალური ურთიერთობები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV. 2018, გვ. 115-130.

³ იხ. აკ. ჩიქობავა. განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი და მასთან დაკავშირებული იტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები. ისტორიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბ. 2019.

მოგვიანებით, XIV საუკუნეში, როდესაც შავი ზღვის მეშვეობით ვაჭრობა გენუის ფაქტორიებთან მიმდინარეობს, ჩემი დაკვირვებით, ქართველ მეფე-მთავართა განკარგულებაში მყოფი ვაჭრები უკვე სოციალურ სტატუსშეცვლილი პირები უნდა იყვნენ (ვინმე კაცაძე და სხვები), მათ შორის სავარაუდოა, რომ „მსახურთა“ ფენიდან ამოიზარდონ ვაჭრები თუ მაღალკვალიფიციური ხელოსნები¹. ლოგიკურია, სწორედ გენუელებთან ვაჭრობის პირობებში ქართული წარმოშობის ვაჭრებსაც ვხვდებით, რომლებიც ადრე, სავარაუდოდ, ხელოსნობას მისდევდნენ და აღნიშნულ სიტუაციაში პოლიტიკური ხელისუფლების ნება-სურვილით საზღვაო ვაჭრობაში ებმებიან. აქ ხელოსნებთან ერთად ნაოსნობის ოსტატებიც შეიძლება მოვიაზროთ. რატომ არის ეს ლოგიკური გენუელებთან კავშირში? იტალიელი ეკონომისტისა და სოციოლოგის, ჯოვანი არიგის თანახმად, ამ კაპიტალიზმის დაგროვების პირველი ცენტრი სწორედ გენუა უნდა იყოს, სადაც შრომის დანაწილების ახალი ეტაპი იწყება. ადგილობრივი სავაჭრო კომპანიები და სამხედრო არისტოკრატია ქმნის ბანკებს მევახშეობის საპირწონედ. კაპიტალისტური ფორმის საერთაშორისო ვაჭრობის საწარმოებლად ადგილობრივ მესვეურებს ზღვასთან და ხელოსნობასთან დაკავშირებული პირების ჩართვა უფრო აქტიურად მოუწევდათ.²

თუმცა, ეს პერიოდი გამონაკლისი უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში, რადგან სწორედ ამ ტიპის სავაჭრო კაპიტალთან ურთიერთობას შეეძლო ამგვარი პროცესის შექმნა. მოგვიანებით, როდესაც საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა და ბატონყმობის ეტაპზე დაიწყო გადასვლა ან სულაც,

¹ აკ. ჩიქობავა. საქართველოს კონტაქტები კაპიტალის დაგროვების პირველ ცენტრთან (ვაჭრობა და კრედიტი). გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები – ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. გორი. 2024, გვ. 152-164.

² Джовани Арриги. Долгий Двацатый Век. Денги, Власть и истоки Нашего Времени. Перевод А. смирнова и Н. Зделмана. Москва. 2006.

ბატონყმობის კვლავწარმოება ხდება, გლეხის ექსპლუატაცია კვლავ ბეგარისა და ზედმეტი შრომის ხარჯზე ხორციელდება. ნატურალური, შრომამიგებითი და ფულადი ბეგარა გლეხის შრომა ან შრომის ნაყოფია, რომელსაც ბატონი ითვისებდა.

ამ შრომის პროცესში, როდესაც გლეხოზე ვერ ახერხებდა ბეგარის დროზე ან სრულად გადახდას, იძულებული იყო, ვალი აეღო, რაც უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა საგლეხო მეურნეობას. ხშირად გლეხს პროცენტის სახით იმაზე მეტის გადახდა უწევდა, ვიდრე მისი საბეგარო ვალდებულება იყო.

ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენს სასესხო დოკუმენტები, სადაც განსაზღვრულია ვალის აღების საჭიროება, პროდუქტის ოდენობა, პროცენტის ოდენობა, ვალის ამღები და გამცემი პირები. ადრეულ შემორჩენილ საბუთებში, როგორც ჩანს, სესხის გამცემი იყო ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ამგვარი საქმიანობა სჯულის კანონით გახლდათ აკრძალული. როდესაც ნიკორწმინდის წინამძღვარი ცხილათს მიწას მოიგებს, მათვე მისცემს საკაბალოდ. მოგება აქ ყიდვას არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ყიდვისგან განსხვავებულ ფორმას. გაზიარებულია მოსაზრება, რომ ეს ვალში წამოღებული მიწა, რომელიც მევალეებს უკან კაბალის სახით, ანუ მძიმე გადასახადით დაუტოვეს სარგებლობაში.¹

ვალის სანაცვლოდ გლეხის გამორთმევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგალითად, 1726 წლის არზაში, მამულა ბერიკაშვილის ვალის თაობაზე სურამელი ურია, როგორც თვითონ წერს, მეფეს ავედრებს, რომ ჩხეიძისთვის მიცემულ ვალს ის არ აბრუნებს, მეტიც, ამ საქმეში შუამავლად რევაზ მურვანისშვილი ყოფილა, რომელსაც, თავის მხრივ, მამულას ვალი ჩხეიძისგან აუღია ორი გლეხის სანაცვლოდ. მას ერთი გაუყიდია და

¹ მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის დაწერილი). თბ. 1979, გვ. 58-59.

ერთი დაუტოვებია. სწორედ ამ გლეხს სთხოვს მამულა რევაზ მურვანისშვილს.¹ გლეხი ვალის გადახდის საშუალებაა. არზის განჩინებაში წერია, რომ მამულამ ვერ დაამტკიცა ვალის არსებობა და საქმე შეწყდა.

გარდა ამისა, ვახტანგის სამართლის მიხედვით (სამართალი ბერძნული, მუხლი 166-ე), ნასყიდ ყმას, ანუ გლეხს ვალის აღების უფლება არ აქვს და ვერაფერს გადაიხდის, ხოლო თუ მისი სხვას მართებს, ვალს ბატონი აიღებს.²

იმავე სამართლის 199-ე მუხლის მიხედვით, თუ მოვალე ვალს ვადაში ვერ აბრუნებს, თუ მდიდარი იყოს, ვადას აძლევენ ოთხ თვეს, რომ მამული გაყიდოს და გადაიხადოს, ხოლო თუ ღარიბი იყოს, მისი სამართალი პირდაპირ მევალეზე კიდია, მისი ნება-სურვილის მიხედვით მოხდებაო.³

1722 წლის 21 აპრილის საბუთით ვიგებთ, რომ ჯავახიშვილს თარხნიშვილის ფული ემართა. ამ ვალის სანაცვლოდ ორი გლეხი ჰყავდა სარგებელში. ისე, რომ მევალისთვის არ შეუტყობინებია, ერთი გლეხი გაუყიდა და მის სანაცვლოს ავედრებს ჯავახიშვილს და სარგებლის გადახდასაც გლეხებს მიანერს.

სურათი შემდეგია: გლეხი ვალის გირაოშიც გვხვდება, საჭიროების სანაცვლოდ ყიდიან და გირაოში ერთ გლეხს მეორით ანაცვლებენ. თუ გაჭირდა, ვალის სარგებელიც გლეხისგან უნდა ამოიღოს მევალემ.⁴

1727 წლის კაცია ქართველიშვილის საბუთიდან ვიგებთ, რომ მას ცოლის მოყვანისას გაუჭირდა და ისესხა 76 ნახევარი მარჩილი, რაშიც გლეხი დანინდა. პირობად დადო, რომ თუ ვალს

¹ ქსდ. ტ. 4, გვ. 483.

² ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 171.

³ ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნთა კრებული, გვ. 175.

⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.). ტ. 1. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1947, გვ. 197.

ვერ გადაიხდიდა, გლეხი მახარობელი კოჩაძე მევალეს უნდა დარჩენოდა. მაგალითისთვის, 1 მარჩილი 3 აბაზს უდრის. XVIII საუკუნის 40-იან წლებში ახალუხი ღირდა სამი აბაზი, ხოლო დღიურად სამუშაოზე ოსტატისთვის, სამი შეგირდისთვის და ორი ხუროსთვის 6 აბაზი და ერთი მინალთუნი, ხოლო 1851 წლის ჩანაწერებით, 11 მუშისთვის 3 აბაზი გადაუხდიათ დღიურ სამუშაოზე.¹ 76.5 გავამრავლოთ 3-ზე, მივიღებთ 229.5 აბაზს. თუ უხეშად დავთვლით, 11 მუშა რომ 100 დღე ამუშაო, ჯამაგირი 300 აბაზი გამოდის, ეს კი დაახლოებით 77 მარჩილია. ქართველიშვილი კოჩაძეს ვალის სანაცვლოდ ტოვებდა, თუ მას ვერ გადაიხდიდა. გამოდის, რომ ვალში გაცემული კონკრეტული გლეხი უდრიდა 11 მუშის ყოველდღიური სამუშაოს ანაზღაურების საფასურს 100 დღეზე.

გლეხებშიც კატეგორიებადაა გაყოფილი, თუ ვის შეუძლია ვალის აღება. ნასყიდს რომ არ შეუძლია, ცალსახაა, ის პატრონის სრული საკუთრებაა. ასევე, გლეხი საკუთრივ ვალის გადახდის საშუალებაა. ყველა ამ საბუთში თუ სამართლის ძეგლში გლეხი მუდამ მესამე პირშია ნახსენები, არცერთი საბუთი არ საუბრობს გლეხის პირით. ნახსენებია მათი ვინაობა, თუმცა ეს მხოლოდ რეესტრისთვის საჭირო გარემოებაა, რომელიც ესაჭიროება მყიდველს თუ ვალის გამცემს.

თუმცა გვაქვს გამონაკლისები, როდესაც გლეხები საბუთებში პირველ პირში საუბრობენ. რამე განსაკუთრებულ მოვლენასთან ხომ არ გვაქვს საქმე, გლეხი როგორც სუბიექტი ხომ არ დაფიქსირებულა? რა თქმა უნდა, არა. საბუთები, სადაც გლეხები პირველ პირში საუბრობენ ან სამეცხხეო დოკუმენტებია, ან სასამართლო ოქმები.

ყველაზე ადრეული დოკუმენტი, რომელიც ვალის აღებას ეხება, XIII საუკუნით თარიღდება: „ქ. სახელითა ღ(მრ)თისაჲთა

¹ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. ნ. 1. (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938, გვ. 6-8.

და თავსდებობითა სუეტისა ცხოველისაჲთა ესე დაწერილი და-
გინერეთ ჩ^უენ, **ბურჯელთა: კავთულამა და თევდორემა და
ჩ^კენთა შვილთა: ბასილმა და მშუიდამა.** დაგუეჭირუა ჰავისა
ჟამისაგან და ხარაჯობისგან და ავიღეთ თქუნ მოძღუარისა-
გან დემეტრესაგა^ნ ტოხუაისძისაგა^ნ სამოცი თეთრი დე-
კენბერსა ათსა და გაგიჩინეთ ოცი კოკაჲ ტკბილი წელინადსა-
შიგა მზაი, რომე უსიტყუელადა ჯელთამოგაჰსენებდეთ, ვირე-
მდისცალა ამა თეთრსა შენსა ჯელთა მოგაჰსენებდეთ. **ამისანი
მონამენი არიან ჯარაისძე ებაი და წამალაისძე აი“.**

პირველივე დოკუმენტში, რომელშიც ვალის გაცემა დასტუ-
რდება, გლეხები ვალს იღებენ სვეტიცხოვლის წინამძღვრისგან.
დოკუმენტში, საბუთის შედგენის წესის მიხედვით, დასახელე-
ბულია ამლებიც და გამცემიც. მეტიც, ვალის ამლებები მთელი
მისი მემკვიდრეებით არიან ნახსენები, სავარაუდოდ იმისთვის,
რომ ვალი შემდგომ მემკვიდრეებზე გადასულიყო, ვინაიდან სა-
ბუთის დამწერები მარტო კავთულა და თევდორე კი არ არიან,
არამედ მათი შვილებიც.

ქართულ საისტორიო საბუთებზე დაკვირვებამ ცხადყო,
რომ გლეხოზა საბუთებში მხოლოდ მესამე პირში, ხშირად ბა-
ტონის სახელით, ხანაც მისივე სახელით იხსენიება. ერთა-
დერთი ფაქტი, როდესაც გლეხი პირველ პირში საუბრობს, ეს
არის სამეფახშეო საბუთები, სადაც ის ვალდებულებებს იღებს
ვალის გადახდის სანაცვლოდ. მთელი შუა საუკუნეების გან-
მავლობაში, საქართველოშიც გლეხის სიტყვა შეზღუდული ან
გამქრალია. ისინი თუ საუბარს იწყებენ, იწყებენ მხოლოდ ვა-
ლდებულებითი საბუთებიდან, ექსპლუატაციის ზრდის ფონზე,
არა აჯანყებით, არა საგლეხო გამოსვლით, არამედ კანონით
დადგენილი ზომების შესრულების პასუხისმგებლობით.

**როდესაც ევროპელი ისტორიკოსებისთვის ინკვიზიციის არ-
ქივები გაიხსნა, ზოგიერთი მათგანისთვის ნათელი გახდა, რომ
გლეხოზა, რომლის ხმა საუკუნეების განმავლობაში არ ისმოდა,**

მხოლოდ ინკვიზიციის დაკითხვის ოქმებში ლაპარაკობდა.¹ საქართველოს საისტორიო საბუთებზე დაკვირვებამ კი, როგორც აღვნიშნე, ჩვენთვის ცნობილი საბუთების ანალიზისას გვიჩვენა, რომ გლეხოზა საუბარს იწყებს მხოლოდ ვალის აღების დროს. როგორია ქართველი გლეხის ყოველდღიურობა, როგორია მისი სამუშაო პროცესი ბეგარის გადახდის მოლოდინში, მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ახლა ამას დავემატოთ სამუშაო პროცესისა და ექსპლუატაციის ზრდა, როდესაც გლეხი საკუთრივ არის გავალიანებული ან სულაც, ბატონის ვალის გამო მუშაობა უწევს პროცენტის გადასახდელად და ცალკე ბატონის ყოველდღიურობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, ანუ გლეხოზა, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საბუთებში პირველ პირში საუბარს იწყებს ან მათ ამეტყველებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ვალს იღებს მევახშისგან. მისი მეტ-ნაკლები ან ეფემერული „სუბიექტურობა“ მხოლოდ მაშინ გაიელვებს, როცა ის ეკონომიკური უღელის სამევახშეო ფორმაში აღმოჩნდება.

¹ კ. გინძბურგი. ინკვიზიტორი როგორც ანთროპოლოგი. ნაკვლევები, მითები, მიკროისტორია. ესსეები ევროპის ისტორიისა და კულტურის შესახებ. თარგმანების კრებული. თბ. 2011, გვ. 93-107.

თავი მესამე:
საქართველოს კონტაქტები კაპიტალის
დაგროვების პირველ ცენტრთან
(ვაჭრობა და კრედიტი)

ფეოდალურ პერიოდში მეფის და სახელმწიფო ბიუჯეტი თითქმის განუყოფელი ცნება იყო. თუ მეფე ფულს სესხულობდა, ის რა თქმა უნდა, სახელმწიფო ვალადაც აღიქმებოდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ დროის ეკონომიკური თუ სამართლებრივი აზროვნებისთვის. ქართულ ისტორიოგრაფიაში, როდესაც საგარეო ვალზე ან კრედიტზე მსჯელობენ, ძირითადად, მაინც XVIII საუკუნის ამბებს ახსენებენ. საგარეო კრედიტი ქართული სამართლის ნორმებითაც დარეგულირებული იყო.¹ საგარეო კრედიტი რაიმე სახის ხელშეკრულებით არ ფორმდებოდა. ის ცალმხრივად იყო გამტკიცებული ადგილობრივი სამართლის ნორმებით. თუ მსესხებელი ქვეყნის გარეთ ცხოვრობდა, იმ ქვეყნის მესვეურთ სთხოვდნენ მოვალის გამოგზავნას². მაგალითად, გვაქვს საბუთები, როდესაც თბილისში მცხოვრები ვაჭარი ლეკებთან ყოფნის დროს იქვე სესხულობს ფულს საქონლისთვის. ასევე, კათალიკოს დომენტი III-ს სტამბულში ყოფნისას სესხი აუღია, გირაოდ კი ძვირფასი ნივთები ჩაუდია. სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანი 20 ათასი თუმნის სესხება იყო, თუმცა ეს არ მოხერხდა.³

XVIII საუკუნის ფაქტების მიღმა უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის გარეთ ფულის სესხება ადრეულ პერიოდშიც იქნე-

¹ ნიკოლოზ ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბილისი. 1963. გვ. 96-97

² ნიკოლოზ ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბილისი. 1963. გვ. 97

³ ნიკოლოზ ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბილისი. 1963. გვ. 98.

ბოდა, სამხედრო საჭიროებებისა თუ სავაჭრო საქმიანობისთვის, როგორც მეფე-მთავრებისგან, ასევე, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ვაჭრებისგან. ჩემი ინტერესის სფეროს ამ შემთხვევაში საგარეო სავაჭრო ურთიერთობები წარმოადგენს. ამ მიზნით თვალი უნდა გავადევნოთ საერთაშორისო ვაჭრობის კონკრეტულ ეპიზოდებს და საქართველოს როლს ამ ურთიერთობებში.

ყოველი ფორმაცია, რომელშიც ადამიანს უწევს ცხოვრება, ფორმირებას იწყებს წინამორბედ ფორმაციებში. ანტიკურობის კრიზისმა აუცილებლობად დასახა ფეოდალური საკუთრების ფორმის გაჩენა და ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბება. განა კერძო საკუთრების ფორმა არ არსებობდა მანამდე, თუმცა საკუთრების ეს ფორმა იძენს ოფიციალურობასა და საყოველთაობას. კრის ვიკჰემის მიხედვით, სწორედ ამ გაოფიციალურების შემდგომ ტოტალურად მყარდება ფეოდალური ურთიერთობები. ასევეა კაპიტალიზმიც. კაპიტალისტური ურთიერთობების ფორმები ფეოდალიზმშივე იწყებს ფორმირებას. მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ვაჭრობა და სამევახშეო ვალი უსწრებს მას და ის ფეოდალურ პერიოდშიც არსებობს. უფრო სწორად, სამევახშეო კაპიტალი და სავაჭრო კაპიტალი კაპიტალისტური წარმოების ხანებამდეც არსებობს. შუა საუკუნეების სავაჭრო ურთიერთობებში ფულიც და საქონელიც სახეზეა, თუმცა ისინი იმთავითვე არ წარმოადგენენ კაპიტალს. ამ ყველაფერს კაპიტალად გადასაქცევად, ერთი მხრივ, სჭირდება დაგროვებული კაპიტალის არსებობა, მეორე მხრივ კი, თავისუფალი მუშახელის არმია. ისევე როგორც შუა საუკუნეებში, მევახშეობისა და ვაჭრობის შედეგად შექმნილი ფულადი კაპიტალი ვერ გადაიქცეოდა სამრეწველო კაპიტალად, რომ არ მომხდარიყო ფეოდალური ურთიერთობების რღვევა. კაპიტალისტური ურთიერთობების სტრუქტურა ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურაში წა-

რმოიშვა და მისმა რღვევამ კაპიტალისტური საზოგადოების-
კენ გახსნა გზა.¹

იტალიურ ქალაქებში სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავე-
ბამ და კომუტაციის პროცესმა მათ საშუალება მისცა მეტ-ნა-
კლები დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. ოქროს მონეტების
დაბრუნებამ ამ ქალაქების ვაჭრობას ახალი სიცოცხლე შესძინა.
საზღვაო გზების კონტროლმა გენუასა და ვენეციას საშუალება
მისცა, საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებული ადგილი
დაეკავებინა. სწორედ ამ გზებით მოხერხდა სავაჭრო ბალანსი
ევროპასა და აზიას შორის. ისტორიკოსების დაკვირვებით, ამ
პროცესში მხოლოდ გენუის საზღვაო გადასახადი 2,3-ჯერ აღე-
მატებოდა საფრანგეთის სამეფოს მთლიან შემოსავლებს.²

ფრანგ ისტორიკოს ფერნან ბროდელს აქვს შესანიშნავი ნაშ-
რომი „კაპიტალიზმის დინამიკა“, სადაც ამ საზოგადოებრივი
ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების ისტორია აქვს
აღწერილი. ასევე, აღწერილია გეოგრაფიული ვითარება, თუ
რომელი ქვეყნები იყვნენ ამ დროს უფრო დაწინაურებულები,
რომლის სამხედრო და სავაჭრო ძალა აძლევდა მას გაფართოე-
ბის საშუალებას. გენუა აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.³
ფერნან ბროდელისვე მოსაზრებით, გენუელების პირველობას
ევროპის ეკონომიკაში არა მათი ვაჭრები, სავაჭრო თუ სამხე-
დრო გაღერები განაპირობებდნენ, არამედ ის, რომ მათ ხელში
აღმოჩნდა ევროპული ფინანსების განკარგვა. უფრო სწორად,
მათი გავლენა იმაში გამოიხატებოდა, რომ შეეძლოთ კრედიტის
მობილიზება.⁴ სავაჭრო და ფინანსური კაპიტალის თანხვედრამ

¹ კარლ მარქსი. კაპიტალი. ტომი პირველი. თარგმნილი გერმანულიდან მალაქია
ტოროშელიძის რედაქციით. თბილისი. 1930. გვ. 68-659.692

² Перри Андерсон. Переходы от Античности к Феодализму. перевод Артеа
Смирнова. Москва 2007. гв. 97.

³ Фернан Бродель. Динамика Капитализма. Смоленск. 1993.

⁴ Фернан Бродель. Время Мира. Материальная цивилизация экономика и ка-
питализм XV-XVIII вв. Том 3. Перевод Л. Е. Куббеля. Москва. 1992. гв. 165.

გენუა ევროპის ფინანსურ ცენტრად აქცია. თუმცა, სამევახშეო კაპიტალის დამორჩილება აუცილებელი საფეხური იყო ამ ყველაფრისთვის, რათა ის პარაზიტად არ დასჯდომოდა სავაჭრო კაპიტალს და მის განვითარებას.

ბროდელის ამ დაკვირვებებსა და მის ნაშრომებზე დაყრდნობით, იტალიელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა, ჯოვანი არიგიმ წამოაყენა თეორია კაპიტალის დაგროვების სისტემური ციკლის შესახებ, რომლის მიხედვით, პირველი ცენტრი იყო გენუის ქალაქსახელმწიფო; 2. ჰოლანდია; 3. ბრიტანეთი; 4. ამერიკის შეერთებული შტატები. ჯოვანი არიგის აზრით, ნებისმიერი ციკლი კაპიტალის დაგროვების ცენტრის ფორმირებაში შედგება ორი ფაზისგან: ერთი, ეს არის მატერიალური ექსპანსია, როდესაც ახალი ტექნოლოგიები ახალ ცენტრს ქმნიან და მეორე, როდესაც დაგროვება გადადის ფინანსურ სფეროში.¹

ჯოვანი არიგის ამ თეორიას ჩემთვის საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ ის დაგროვების პირველ ცენტრად გენუას მონიშნავს. გენუა კი საქართველოს სამეფო-სამთავროებთან სავაჭრო ურთიერთობებშია შავი ზღვის გავლით. შავი ზღვა გენუელებისთვის მნიშვნელოვან სავაჭრო გზას წარმოადგენდა. ჯ. არიგის აზრით, გენუელების წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მათ შავი ზღვის „ტერმინალზე“ მოიპოვეს კვაზიმონოპოლიური კონტროლი.² მათი მთავარი სავაჭრო ფაქტორია მდებარეობდა ყირიმის ნახევარკუნძულზე, კაფაში (თანამედროვე ფეოდოსია), საიდანაც ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები. სწორედ აქედან ნაწილდებოდა საქონელი როგორც ევროპაში, ასევე, ბიზანტიის იმპერიაში. ფერნან ბროდელის, XVI საუკუნეში მოღვაწე ფრანგი

¹ Джовани Арриги. Долгий Двацатый Век. Денги, Власть и тстоки Нашего Времени. Перевод А. смирнова и Н. Зделмана. Москва. 2006.

² Джовани Арриги. Долгий Двацатый Век. Денги, Власть и тстоки Нашего Времени. Перевод А. смирнова и Н. Зделмана. Москва. 2006. გვ. 166.

ნატურალისტის ცნობაზე დაყრდნობით, ბიზანტია-დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის შესახებ საინტერესო ფაქტს გვანდის. კერძოდ, ბელონ დიუ მანის ცნობით, სამეგრელოდან ბიზანტიაში გასაყიდად მიჰქონდათ კარაქი.¹

როგორც ვნახეთ, ჯოვანი არიგის თეორიის მიხედვით, კაპიტალის დაგროვების პირველი ცენტრი არის გენუა, სწორედ ამ შუქზეა საინტერესო საქართველოს სავაჭრო და საკრედიტო ურთიერთობები. შავი ზღვის გავლითა და გენუის სავაჭრო ოპერაციების წყალობით, XV საუკუნეში ფეოდალურ ქართულ სამეფო-სამთავროებს კაპიტალიზმის პირველ ცენტრთან თუ არა, კაპიტალის დაგროვების პირველ ცენტრთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები აქვთ დამყარებული. გენუელებისა და ქართველების სავაჭრო ურთიერთობა უფრო ადრე, XIII საუკუნეში იწყება. 1290 წლის სავაჭრო ხელშეკრულების მიხედვით, რომელსაც ნოტარიუსი ლამბერტო დი სამბუჩო ადგენს, საუბარია სავაჭრო გემების ტრაპიზონსა და ბათუმში ჩასვლაზე. თუ საქონელი იქ არ დაიცლებოდა, ერთ-ერთი მხარე უფლებას იტოვებდა, საქონელი გემითვე ფოთში წაეღო და მის ახლო-მახლოს გაეყიდა.² 1290 წლის ერთ-ერთ ხელშეკრულებაში ვინმე ჯოვანო ოქტავიანო ლუჩიანო გამბინოსგან კრედიტის სახით იღებს 1.000 ასპრს, რათა სავაჭროდ წავიდეს ფოთში.³

1290 წლის საბუთებში, რომელიც ასევე, ჯოვანი დე სამბუჩეტოს მიერ არის შედგენილი, სავაჭრო ურთიერთობებს უკვე სოხუმელი ვაჭრები აწარმოებენ ვინმე ოლიადი სეპასტოპოლისიდან. ეს უკანასკნელი ძმის ინტერესებს წარმოადგენდა, სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდა ვინმე რიკობინო დე ფი-

¹ Фернан Бродель. Среднеземное Море и средиземноморский мир в эпоху Филиппа II. Часть 1 . Перевод с французского М. А. Юсима. Москва. 2002, გვ. 152.

² Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ.93.

³ Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ. 94.

ნაროსა და ჯოვანი დე კაზალეტოსთან. სავაჭრო საქონელს კი მარილი წარმოადგენს.¹ თ. ბერაძის დაკვირვებით, გენუელ ვაჭრებს საქართველოში სხვადასხვა საქონლის გარდა, შეპქონდათ ფული კაპიტალის სახით. ვაჭრობაში დაბანდებული ფული კი თავნისა და სარგებლიანი პროცენტის სახით უკან უბრუნდებოდა კრედიტორს.²

გენუელების ფაქტორია სოხუმში 1354 წელს დაარსდა, რომელიც კაფადან იმართებოდა. თუმცა, კაფას სავაჭრო ფაქტორია 1453 წელს, „წმინდა გიორგის ბანკის“ ხელში გადავიდა და შესაბამისად, სავაჭრო ოპერაციების სათავეში ბანკი მოექცა. გენუური „კაპიტალიზმი“, სხვა იტალიური ქალაქების კაპიტალიზმისგან განსხვავებით, საბაზრო გამსხვილების თვალსაზრისით ვითარდებოდა. გენუის სავაჭრო კაპიტალი ყალიბდება გენუის არისტოკრატიის იმ ნაწილთან კავშირში, რომელიც კომერციით იყო დაინტერესებული. თუმცა, პოლიტიკური ძალაუფლება მაინც არისტოკრატიის ხელში რჩებოდა და ფინანსებიც ხშირად გენუის სახელმწიფოს ხარჯებზე მიდიოდა, რადგან მათი ე.წ. ხმლის ძალაუფლება, ხშირად გენუელი ვაჭრებისა და კაპიტალის დამცავი მექანიზმი იყო. 1407 წელს ყალიბდება „წმინდა გიორგის ბანკი“, რომელიც, ერთი შეხედვით, გენუელი კაპიტალისტების ძალაუფლებასა და ფულის დაცულობას უზრუნველყოფდა, მეორე მხრივ კი თითქოს ეს იყო თვითორგანიზება არისტოკრატიის საპირწონედ. ბანკის დაარსებას უნდა უზრუნველყო მმართველობის ფინანსური შემოსავლების დიდწილად საკრედიტო ორგანიზაციის ხელში გადასვლა.³ ბანკი მთლიანად იწყებდა სავაჭრო და საკრედიტო ურთიერთობების კონ-

¹ Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ.95.

² Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ.95.

³ Джовани Арриги. Долгий Двацатый Век. Денги, Власть и тстоки Нашего Времени. Перевод А. смирнова и Н. Зделмана. Москва. 2006, გვ. 164.

ტროლს, თუმცა პოლიტიკური ძალაუფლების კონტროლისგან ჯერ კიდევ შორს იყო. ამიერიდან ამ ტიპის ორგანიზაციასთან უწევდათ ურთიერთობა ქართველ ვაჭრებსა თუ მეფე-მთავრებს.

ვალად აღებული ფულის გასტუმრებისა და დაკრედიტების იმ პერიოდის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო კამბია (cambia Secco), რომელსაც აქტიურად იყენებდნენ შავი ზღვის სავაჭრო ფაქტორიები. კამბია გულისხმობდა ფულის განაღდებას ან სესხებასაც კი მიმდინარე კურსის მიხედვით, ისე რომ საკუთრივ ფულის ტრანსპორტირება არ იყო საჭირო. მიუღებელი გახლდათ კამბიაში პროცენტის მოთხოვნა ან სამეფავშეო მანიპულაცია, თუმცა ასეთიც ხდებოდა. კამბიის ფორმა გამოყენებულია კაფასა და სოხუმს შორის სავაჭრო ურთიერთობაში. ვალის ამოღების მიზნით კამბია გამოიყენეს აუქციონზე ქონების გაყიდვით, თუმცა მისი გამოსყიდვის უფლებით 8-10 დღეში.¹ საბუთებში გვხვდება ქართველი ვაჭრისგან გასესხების მაგალითიც. 1374 წელს კაფას კომუნას სასწრაფოდ დასჭირდა ფული, რომელიც ადგილობრივი ვაჭრებისგან ისესხა. მათ შორის იხსენიება სამი ქართველი ვაჭარი.²

1465-1467 წლების დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კაფას სასამართლოს მიმართეს საჩივრით, რათა საქართველოს მეფისა (სავარაუდოდ, იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ მეორე) და მისი ვაჭრის, ვინმე გიორგი კაცაძის ქონების კონფისკაცია მოეხდინათ ზარალის დაფარვის მიზნით. ამ უკანასკნელმა თითქოს ზიანი მიაყენა ვინმე ამირბეის სანკტა კატარინადან, მისი მემკვიდრეები კი ზარალის 83.191 კაფას ასპრით ანაზღაურებას ითხოვდნენ. საქმეში ჩაერია „წმინდა გიორგის

¹ С. П. Карпов. Кредит в Системе Итальянской Торговли В Южном Причерноморье (XIII-XV вв). Византийский Временик Том. 49. 1988, გვ.45.

² Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ. 104.

ბანკი“, რომელიც თხოვნით მიმართავდა კაფას ადმინისტრაციას, არ აღესრულებინა ქონების კონფისკაცია, რადგან ეს გართულებდა ურთიერთობას საქართველოს მეფესთან. თავის მხრივ, კაფას ჰქონდა გიორგი კაცაძის ვალი 26.393 ასპირის ოდენობით. „წმინდა გიორგის ბანკი“ სთავაზობდა მომჩივნებს, ეს ვალი მათთვის გადაენერა იმ ზარალის სანაცვლოდ.¹

რა ზიანი უნდა მიეყენებინა გიორგი კაცაძეს ამირბეის მემკვიდრეებისთვის? იმ სავაჭრო ოპერაციების გათვალისწინებით, რომელიც გენუელების მიერ ხორციელდებოდა, უნდა დავუშვათ შემდეგი: გიორგი კაცაძე გარკვეულ კაპიტალს სესხულობს სავაჭროდ, ვაჭრობის წარმატებით დასრულების შემდეგ, თავანთან ერთად, კრედიტორისთვის გარკვეული სარგებელიც უნდა გადაეცა. კარპოვის დაკვირვებით, ამ პერიოდში გაიცემოდა ორი ტიპის კრედიტი: 1. სავაჭრო კრედიტი, რომელიც უნდა ანაზღაურებულიყო სხვა პუნქტში, რომელიც საზღვაო კრედიტსაც წააგავს; 2. კრედიტი გაიცემა შენახვის უფლებით ან მისი ინვესტირების უფლებით.²

გენუელებისა და ვენეციელების ვაჭრობის ორი ფორმა შეიძლება გამოიყოს: 1. ეს არის საზოგადოება ან ამხანაგობა, რომელიც დიდ კორპორაციულ სავაჭრო ურთიერთობებს გულისხმობს; 2. ეს არის შეთანხმებითი თავდებობა. ჩვენ უფრო მეორე ვარიანტი გვაინტერესებს, რომელიც მოიცავდა სავაჭრო აგენტის დაქირავებას, თავდებობას ან კრედიტის სახით ვაჭრობას, რადგან საქართველოდან წარგზავნილი ვაჭრები, ალბათ, უფრო ამ ფორმით სარგებლობდნენ, ვიდრე დიდი კორპორაციული სავაჭრო ფორმებით. ვაჭრობის ასეთ ფორმას წარმოადგენდა კომენდა, რომელიც პარტნიორობის საფუძველზე

¹ Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ. 109.

² С. П. Карпов. Кредит в Системе Итальянской Торговли В Южном Причерноморье (XIII-XV вв). Византийский Временник Том. 49. 1988, გვ.41-42

ხორციელდებოდა. კომენდატორი საკუთარ თავზე იღებდა რისკსაც, შესაბამისად, მოგების 2/3 მისი იყო. კომენდა ვრცელდებოდა არა მარტო ფულსა და საქონელზე, არამედ იმ ქონებაზეც, რომელსაც მოგება მოჰქონდა მეპატრონისთვის. კომენდის ერთი ფაქტი დადასტურებულია სოხუმშიც ¹ და გიორგი კაცაძეც, სავარაუდოდ, კომენდით სარგებლობდა თავისი სავაჭრო ოპერაციის განხორციელებისას.

აღნიშნული ისტორია ორი რამით არის ჩვენთვის საინტერესო: თუ გიორგი კაცაძე საქართველოს მეფის წარმომადგენელი ვაჭარი იყო, ვალში, რომელიც კაფას ჰქონდა გიორგი კაცაძის მიმართ, რაიმე წილი ჰქონდა თუ არა მეფეს? ასევე, იმ ქონებაში, რომელსაც კონფისკაცია ემუქრებოდა, რა წილი ექნებოდა მეფეს? რადგან კაცაძე კაფაში ცხოვრობდა, იქ შეძენილ სახლსა და ქონებაზე ნაკლებ სავარაუდოა საქართველოს მეფის უფლება. აი, სავაჭრო კაპიტალსა და საქონელზე კი ფრთხილი ვარაუდი შეგვიძლია გამოვთქვათ, რომ ის ნაწილობრივ მეფესაც ეკუთვნოდა. ჩვენ ვიცით, რომ ვაჭრები საქართველოში მეფეების, დიდი ფეოდალების ან ეკლესიის გარშემო იყრიდნენ თავს, დიდი ვაჭრებიც კი ნაწილობრივ მეფისადმი ვალდებულებაში იყვნენ. ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, საპატიო ვაჭარი დამცრობილი მესამე თაობის აზნაურს უტოლდებოდა. ამის მიხედვით, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი, რომ ვაჭარი ფეოდალურ იერარქიაშია შესული და ის ყმას წარმოადგენს.² დიდვაჭარი რომ საგარეო ვაჭრობაშია ჩაბმული, ეს სამართლის ძეგლიდანაც კარგად ჩანს: „**რომე გზით მოვიდეს, ბატონთა ნახვა და ძღვე-**

¹ С. П. Карпов. Итальянские Морские Республики и Южное Причерноморье В XIII-XV вв. Проблемы Торговли. Москва. 1990., 180-181.

² ბაბილინა ლომინაძე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XV სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. საქართველო XI-XV საუკუნეებში. ტომი III. თბილისი. 1973, გვ. 772.

ნის მოღება შეეძლოს“ (ბექა-ალბულა 96.). აქ ბატონში მეფე იგულისხმება, თუ მისი ბატონი, კარგად არ ჩანს. თუმცა ზოგადი სურათით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა რანგის ვაჭრებს სხვადასხვა ბატონები შეიძლებოდა ჰყოლოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით ვაჭართა კატეგორიები, რომლებიც პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ, მათ მეფის წინაშე გარკვეული ვალდებულებები მაინც ჰქონდათ. მათ შუამავლად ვაჭართუხუცესი იყო. ქალაქის მოსახლეობის ნაწილი, ხელოსნები და ვაჭრები, კონკრეტული ბატონის ყმები იყვნენ, ასევე, ქალაქის მოსახლეობის ამ ფენებს შორის თავისუფალი მოქალაქეები აუცილებლად არსებობდნენ. მსხვილი ვაჭრების კავშირი არისტოკრატიასთან საგრძნობლად ამოწმებდა მათ მოქალაქეებისგან და ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში აქცევდა. ალბათ, ფეოდალი ვერ ხდებოდა, თუმცა იქვე შორი-ახლოს იყო. ეს პროცესი გაღრმავდა მონღოლების ბატონობასთან ერთად. ამ პერიოდში ყალიბდება სავაჭრო ორგანიზაცია ორტალი, რომელიც სამეფახშეო ორგანიზაციის ფუნქციასაც ითავსებდა. საერთაშორისო თუ ადგილობრივი ვაჭრობით გამდიდრებული პირები ავტონომიურ ფინანსურ კორპორაციასაც კი ქმნიდნენ ორტალების სახით. გენუაში სავაჭრო ბურჟუაზია ბანკს აარსებს და ფინანსური ბურჟუაზიის თვისებებსაც იძენს, რომელიც არისტოკრატისგან ძალაუფლებრივად გამოთავისუფლებას ცდილობს. ვაჭრობისა და ფინანსური კაპიტალის ზედმეტად დაგროვებამ გენუა დაგროვების პირველ ცენტრად აქცია. ჩვენთან კი მონღოლების პერიოდში მორღვეულმა სისტემამ თავისი მაქსიმუმი არისტოკრატია-სთან მეტ-ნაკლებად შერწყმული ვაჭრების ფენა და ვაჭრობას მოურიდებელი რამდენიმე დიდი ფეოდალი შვა. მათი საქმიანობა საკუთრივ ვაჭრობა კი არ იყო, გაყიდული საქონლის საფუძველზე მოგება რომ მიეღო, არამედ ვაჭრობით მიღებული ფულით მიწის ყიდვა და მოგების კვლავ ბეგარის სახით ათვი-

სება. მისი საბოლოო მიზანი არა სავაჭრო კაპიტალის გამსხვილება, არამედ ფეოდალური ურთიერთობების ფარგლებში დარჩენაა. თუმცა, სავაჭროდ მას ფული სჭირდება, რისთვისაც მევახშეებს მიმართავს.

მევახშეობა ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. მაგალითად, ვაჭრები ფულს სესხულობენ, რომ მოგება მიიღონ. მევახშის მომსახურებით სარგებლობდნენ როგორც ფეოდალები, ისე ხელოსნები და გლეხები. მევახშე სარგებლის სახით იტაცებს ნამეტს როგორც ფეოდალისგან, ასევე, ქვედა კლასებისგან, ანადგურებს და არღვევს როგორც ფეოდალურ, ისე გლეხურ მეურნეობას, თუმცა წარმოების წესის ცვლილებაზე გავლენა არ აქვს. სამევახშეო კაპიტალი მიეკვრის ამ წარმოების წესს და პარაზიტად იქცევა. ქართული არისტოკრატია ფუფუნების საგნების ან მინების შესაძენად, ან ზოგადად, ცხოვრების გასაუმჯობესებლად ვალს იღებს. გენუაში კი არისტოკრატიას დაახლოებული სავაჭრო ბურჟუაზია ნამდვილ საბანკო სისტემას ქმნის. საბანკო სისტემით ვაჭრები, ასევე, სახელმწიფო თავს იცავენ მევახშეებისგან. ამიერიდან სავაჭრო კაპიტალი და არისტოკრატია ფულით ცდილობს თავის დაღწევას ვაჭრებისგან. მათ სავაჭრო თუ მართვისთვის საჭირო ოპერაციებისთვის სამევახშეო კაპიტალის მომსახურება აღარ სჭირდებოდათ.¹

რადგან გენუასთან ვაჭრობა საზღვაო გზით ხორციელდებოდა, ჩვენთვის საინტერესოა, ამ მხრივ რა ტიპის საკრედიტო სქემა არსებობდა. მაგალითად, იტალიური საზღვაო კრედიტი გაიცემოდა წლიური 20%-ის ფარგლებში, ხანდახან პროცენტი მეტიც ყოფილა, რადგან ის დაზღვევასაც შეიცავდა. XIII საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, სარგებელი თითქოს 5-8%-ით იწევს, რაც მეცნიერების დაკვირვებით, თითქოს სა-

¹ კარლ მარქსი. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. კაპიტალის წარმოების ერთობლივი პროცესი. ტომი მესამე. ნაწ. II. თბილისი. 1959, გვ.178.

ხეს იცვლის და სამევახშეო კრედიტის ნაცვლად, კომერციული კრედიტის ფორმას იძენს. სამევახშეო კრედიტი კი თვეში 8%-ს აღწევდა.¹ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კვლავ გიორგი კაცაძის საკითხს რომ მივუბრუნდეთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას სავაჭრო კრედიტი აღებული ჰქონდა ყოველგვარი დაზღვევის გარეშე, რადგან ზარალის ანაზღაურებას სთხოვდნენ. სავარაუდოდ, მას სწორედ მეორე ტიპის კრედიტი უნდა ჰქონოდა, რომელიც ან პარტნიორობას, ან ინვესტიციას გულისხმობდა. ქართული სამართლის მიხედვით, სარგებელი სამევახშეო კრედიტზე 12-დან 120%-მდე მერყეობდა, ხშირად გვხვდება 300%-ც.

საქართველოში სესხის გამცემი კერძო პირების გარდა, როგორც უკვე ვთქვით, არსებობდა ვაჭართა გაერთიანება ორტალი, რომელიც საკრედიტო ორგანიზაციის როლსაც ასრულებდა. რამდენი იყო მათი პროცენტი, დანამდვილებით არ ვიცით, თუმცა, ის ქართული სამართლის ნორმებით უნდა ყოფილიყო დარეგულირებული. ჩვენ არ ვიცით, დასავლეთ საქართველოში არსებობდა თუ არა ორტალის მსგავსი რაიმე ორგანიზაცია. თუმცა, ადგილობრივ ვაჭარს, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში იყო ჩართული, ამ შემთხვევაში ადგილზე აღებული სესხი, სავარაუდოდ, უფრო ძვირი დაუჯდებოდა, ვიდრე გენუელებისგან აღებული. ადგილზე დიდი ფულის სესხებას გირაო დასჭირდებოდა. ქართული სამართლით, ფულის სესხება გირაოს ნაცვლადაც ხდებოდა. მევახშეს მსესხებლის უძრავ-მოძრავი ქონება აინტერესებდა და სამართალი სარგებლის აღებას ამ მხრივ არ უკრძალავდა, თუ მსესხებელი გასაჭირში არ იყო ჩავარდნილი ან არ იყო გაღარიბებული.

ვაჭრის სტატუსი ამ პერიოდში მემკვიდრეობითაც გადადიოდა და ის საზოგადოების ცალკეულ წოდებრიობას ქმნიდა.

¹ С. П. Карпов. Кредит в Системе Итальянской Торговли В Южном Причерноморье (XIII-XV вв). Византийский Временник Том. 49. 1988., გვ.41.

საქართველოში ფეოდალური წარმოების წესის გათვალისწინებით, რთულია წარმოიდგინო, რომ ვაჭართა ფენაში ვინმე გლეხობიდან შესულიყო, თუმცა ხელოსნების მობილობა დასაშვებად მიგვაჩნია. გენუელების ფაქტორიებში საქართველოს ტერიტორიიდან ვაჭრებად ძირითადად სომხები იხსენიებიან. სამი ვაჭარი სომეხი იხსენიება სოხუმიდან; შავზღვისპირეთში ყველაზე ცნობილი 10 ებრაელი ვაჭრიდან ოთხი სოხუმიდან ყოფილა. ისინი ადამიანით ვაჭრობასა და მევახშეობასაც მისდევენ.¹ აქტებში მოხსენიებულია ვინმე გიორგი მეგრელი სებასტოპოლიდან, ვინმე ბადეორას პარტნიორი. ვინმე აიდოხო სებასტოპოლელი კაფაში ბაზრობაზე ყიდულობს ტყავს სულ რაღაც 7 ასპრის ოდენობით. კარპოვის თქმით, ის ვაჭარი ნაკლებად არის, უფრო კაფაში მცხოვრები მომსახურე პერსონალია. ასევე, სებასტოპოლიდან იხსენიება მეგრელი იოანე, რომელიც ვაჭრობის აქტებშია დაფიქსირებული. კარპოვის დაკვირვებით, ვაჭრობაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა ყველა ფენისა თუ ეროვნების წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიიდან.²

კაფაში, როგორც ვიცით, ქართველების მცირე კოლონია არსებობდა, სადაც ვაჭრებთან ერთად ხელოსნებიც ცხოვრობდნენ.³ სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, ლოგიკურია, რომ ხელოსნობის განვითარებაც მოჰყოლოდა ან საქართველოდან გასატანი საქონლის სპეციალისტების ზრდა. ხელოსნების დაწინაურებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ნაწილის ვაჭართა ფენაში გადასვლაც უნდა დაეჩქარებინა. რა თქმა უნდა, ეს მასობრივი არ იქნებოდა, მაგრამ იმ პერიოდის საქართვე-

¹ С. П. Карпов. Итальянские Морские Ремпублики и Южное Причерноморие В XIII-XV вв. Проблемы Торговли. Москва. 1990, გვ. 298-299

² С. П. Карпов. Итальянские Морские Ремпублики и Южное Причерноморие В XIII-XV вв. Проблемы Торговли. Москва. 1990, გვ. 299

³ Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ. 104.

ლოში საზოგადოებრივი და შრომის დანაწილების თვალსაზრისით საინტერესო პროცესები უნდა წარმართულიყო. თუ გენუელებისა და ვენეციელების მხრიდან ადგილობრივ ნაწარმზე მოთხოვნა გარკვეულწილად იყო, წარმოების გაზრდის მიზნით ხელოსანთა რიგები საიდანაც უნდა შევსებულიყო. არ არის გამორიცხული, ვაჭრობით დაინტერესებულ დადიანს ხელოსნობაში თავისი ყმების ნაწილი გადაესროლა. XIII-XV საუკუნის საქართველოში არსებობდა გარდამავალი ფენა „მსახურები“. მას გლეხთან შედარებით, პრივილეგირებული მდგომარეობა აქვს და საკუთარი მოვალეობის შესრულებისას აზნაურის სტატუსშიც გვევლინება. ხელოსნებზე მოთხოვნის გაჩენისას ხომ არ არის სავარაუდებელი მსახურის ხელოსანთა რიგებში მობილობა ან სულაც, ვაჭრობაში ჩართვა? აღსანიშნავია, რომ სოხუმიდან დიდი რაოდენობით ცვილი გადიოდა. სოხუმის გარდა, ცვილის წარმოების მცირე ცენტრები ყოფილა ფოთსა და ბათუმში,¹ რაც ამ ტიპის სახელოსნო სპეციალიზაციაზე მიუთითებს. ცვილი რომ ოდითგანვე იწარმოებოდა საქართველოში, ჩვენთვის ცნობილია. 1281-1282 წლის საბუთში კი ცვილის ბეგარაზეც არის საუბარი,² ასევე, სოხუმიდან სპილენძის გარკვეული ექსპორტი ხორციელდებოდა. XIX საუკუნეში დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში საექსპორტო საქონელს ცვილთან ერთად, ცუდი ხარისხის სპილენძიც წარმოადგენდა.³ როგორც ჩანს, ცვილი და სპილენძი დასავლეთ საქართველოს ტრადიციული საექსპორტო საქონელი იყო. „წმინდა გიორგის ბანკის“ 1468 წლის დოკუმენტში იხსენიება ვინმე გიორგი სოხუმიდან, რომელიც ზარბაზნებს ასხამდა გენუელებისთვის,

¹ С. П. Карпов Итальянские Морские Ремпублики и Южное Причерноморие В XIII-XV вв. Проблемы Торговли. Москва. 1990, გვ. 132.

² აპოლონ თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.). თბილისი. 2019, გვ. 68.

³ აპოლონ თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.). თბილისი. 2019, გვ. 137.

წელიწადში კი სარგოს სახით, 6 ღუკატს იღებდა.¹ როგორც ვხედავთ, სოხუმის მკვიდრი იმ დროის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს წარმოადგენდა.

1382 წლის დოკუმენტის მიხედვით, ვინმე ქართველ ანტონს კაფაში დავა აქვს გარდაცვლილი ძმის მემკვიდრეობაზე, თავისი ძმის საქმეების აღმსრულებელთან.² რაზე შეიძლება მიმდინარეობდეს დავა? ერთი ის, რომ საქმის მწარმოებელს რაღაც მაქინაციებით ქონების ხელში ჩაგდება სურს; მეორე: მომსახურების სანაცვლოდ მას ქონებიდან წილი ეკუთვნის; მესამე ის, რომ საქმის აღმსრულებელი, იმ პერიოდის კანონმდებლობით, ვალდებული იყო, მემკვიდრეობის საკითხი აღესრულებინა ან თუ გარდაცვლილს რაიმე სახის ვალი გააჩნდა, აღნიშნული ქონებიდან იგი მევალეებისთვის დაებრუნებინა.

თუ ამ დავაში ვალის არსებობას დავუშვებთ, გასაკვირი არ არის, რატომ უნდა დაობდეს ქართველი ანტონი ძმის მემკვიდრეობაზე. ერთი, რომ მას ის ეკუთვნის და მეორე, ქართული სამართლის მიხედვით, ვალის ამღები თუ მოკვდა, მამას ან ძმას ამ ვალიდან სარგებელი თუ არ უნახავთ, ვალის მემკვიდრედ არ ითვლებიან: **„წავიდეს შვილი და აიღოს ვალი ვისგანაც, ან ივაჭროს... ის ვალის ამღები მოკუვდეს... იმ თეთრისგან მათ ქონდეს რამე, უნდა მისცენ ვალი, და თუ არა ქონდეს რა, ვერა შეუვიდეს“**³ (ვახტანგ VI-ის სამართალი. 1963: 265). მართალია, კაფაში გენუელების კანონით იქნებოდა განსჯა, თუმცა ქართული სამართლის ნორმების მონაწილეობა სამართლებრივ დავაში რაიმე დოზით შესაძლებლად მიმაჩნია. სავარაუდოდ,

¹ Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ. 110.

² Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ. 104.

³ ქართული სამართლის ძეგლები. ტომი I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი. 1963.

ანტონის ძმას კრედიტი სავაჭრო საჭიროებებისთვის დასჭირდებოდა.

იტალიელი ვაჭრები საზღვაო კრედიტით სოხუმში ჩასასვლელად და იქ სავაჭროდაც სარგებლობდნენ. მაგალითად, ვენეციელმა ჯოვანი ვალემ კრედიტი მიიღო ვენეციელი პიეტროსგან სოხუმში სავაჭროდ.¹ ხშირად საქონელი იმპორტირებული იყო, თუმცა ადგილობრივი ნაწარმიც გადიოდა. კარპოვის დაკვირვებით, ტილოს იტალიურმა იმპორტმა ვერ ჩაძირა ადგილობრივი წარმოება, XIV-XVI საუკუნეებში კაფაში ტილო შედიოდა ფოთიდან, ბათუმიდან და სოხუმიდან.² ტრაპიზონის იმპერიის გარდა, ღვინის ექსპორტის ცენტრი იყო სოხუმი. კაფაში სოხუმიდან შეტანილ ერთ ბოტა (400-1000 ლიტრს შორის მერყეობს, ყველაზე მიღებული ოდენობაა 500 ლიტრი) ღვინოზე გადასახადი იყო 10 ასპრი.³ გადასახადი 11%-ს შეადგენდა. ღვინის ექსპორტი სებასტოპოლის ვაჭრების კომპანიის ხელში იყო. მათ მიეცათ „ფრანკიზია“, ანუ ისინი გათავისუფლებული იყვნენ გადასახადისგან, რადგან გადასახადი 61 ასპრი გახლდათ, ხოლო ღვინის ჯამური ფასი – 671 ასპრი. შესაბამისად, საკრედიტო ურთიერთობები ადგილობრივი ნაწარმის შესაძენადც გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, ღვინის ექსპორტიორები ადგილობრივი სოხუმელი ვაჭრების ერთობა იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ერთგვარ სავაჭრო „კომპანიას“ წარმოადგენდა. მათი სავაჭრო კაპიტალი მცირედი იყო, თუმცა, სავარაუდოა, ადგილზე ღვინის ექსპორტის მონოპოლისტურ ერთობას წარმოადგენდნენ.

ქალაქი სოხუმი დადიანის საგანგებოს წარმოადგენდა, ამიტომ გენუელები ცდილობდნენ, მასთან კარგი ურთიერთობა

¹ Т. Н. Берадзе. Мореплавание и Морская Торговля в Средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ. 94.

² С. П. Карпов. Итальянские Морские Ремпублики и Южное Причерноморие В XIII-XV вв. Проблемы Торговли. Москва. 1990, გვ. 125.

³ С. П. Карпов. Итальянские Морские Ремпублики и Южное Причерноморие В XIII-XV вв. Проблемы Торговли. Москва. 1990, გვ. 129.

ჰქონოდათ. ხშირად იყო ურთიერთობების გაფუჭების პერიოდი, რომელიც დადიანისადმი დათმობებით მთავრდებოდა. ამ ურთიერთობებისას, როგორც ცნობილია, ოდიშის ერისთავი საკუთარ სუვერენიტეტს იცავდა გენუელებისგან. გენუელებს უკრძალავდა კომერციების აღებას სოხუმში მცხოვრები გენუელებისგან და ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან. კარპოვის თქმით, გენუელები აკრედიტებდნენ დადიანს და ვალის ამოღების პროცესი ხანგრძლივი და ხშირად, უშედეგოც იყო.¹ მეტიც, სავაჭრო ურთიერთობები იმდენად ღრმა უნდა ყოფილიყო სამეგრელოს მთავარსა და იტალიელ ვაჭრებს შორის, რომ მას საკუთარი ფულის მოჭრაც კი დასჭირდა². საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდის საქართველოს შავი ზღვის აკვატორიას დადიანი აკონტროლებდა. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ყველა იმ საზღვაო პუნქტზე, საიდანაც იტალიელებთან ვაჭრობა ხორციელდებოდა, კერძოდ: სოხუმზე, ფოთსა და ბათუმზე. ამ მხრივ, დადიანი საგარეო ვაჭრობის ცენტრებზე მონოპოლიას ფლობდა.

გენუელების მიერ შავი ზღვის ტერმინალზე მოპოვებულმა მონოპოლიამ ის საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვან სახელმწიფოდ აქცია. ამ პროცესში ის კაპიტალის დაგროვების პირველ ცენტრად ჩამოყალიბდა. საქართველო ჩართული აღმოჩნდა საერთაშორისო ვაჭრობის სქემაში. მართალია, ქართული სამეფო-სამთავროების როლი დიდი არ იყო, მაგრამ ამ სქემაში აღმოჩენამ მათ განვითარებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ქართველი ვაჭრები ამიერიდან ვაჭრობის ისეთ ფორმებს ეზიარნენ, სადაც დაკრედიტებასა და ვალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ისინი სამეფახშეო ფორმებიდან მალევე სასაქონლო საკრე-

¹ С. П. Карпов. Итальянские Морские Ремпублики и Южное Причерноморие В XIII-XV вв. Проблемы Торговли. Москва. 1990.

² <http://geonumismatics.tsu.ge/ge/catalogue/types?type=104>

დიტო ფორმაში აღმოჩნდნენ ჩართული. ქართველი ვაჭრები იმ პერიოდის საზღვაო ვაჭრობისა და კრედიტის ყველა ფორმას იყენებდნენ, როგორც კაფაში, ასევე სოხუმში. გენუელი ვაჭრები სოხუმს, ფოთსა და ბათუმს თამასუქებისა და ვექსილების ნაირსახეობით, თუ დაზღვეული კრედიტით სტუმრობდნენ. თუ ადრე ვალი, ქართული სამართლის მიხედვით, გირავნობით იტვირთებოდა, გენუელებთან ურთიერთობამ ქართველ ვაჭრებს უკვე დაზღვეული კრედიტის ფორმით სარგებლობაც შესთავაზა. იმ მცირე ნაწარმზე მოთხოვნამ, რომელიც საქართველოდან ექსპორტზე გადიოდა, ადგილზე შრომის დანაწილების საჭიროება გააჩინა. ქართველი ხელოსნები კაფაშიც მუშაობდნენ და სამხედრო ინდუსტრიაშიც იყვნენ ჩართული. თუ ადრე მეტწილად საქართველოში უცხო ტომელები ვაჭრობდნენ, ახლა უკვე ვაჭართა შორის ქართველებიც არიან. ვაჭრობის ახალმა ფორმებმა ვაჭართა ახალი ფენის წარმოშობას შეუწყო ხელი. ვაჭართა და ხელოსანთა რიგები, სავარაუდოდ, „მსახურთა“ ფენიდან ივსებოდა. ადგილობრივი ფეოდალური წარმოების წესისთვის უჩვეულო ძვრები შეინიშნებოდა. თუმცა ეს ყველაფერი შავი ზღვის ოსმალთა ხელში გადასვლამ საბოლოოდ შეაჩერა, რასაც ბატონყმობის ხელახალი გამოცემა და ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავება მოჰყვა.

თავი მეოთხე:

მევახშეობის განვითარება XIII-XVIII საუკუნეებში

XIII-XV საუკუნეების საქართველოში, კერძოდ კი დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში თვისობრივი განსხვავებები შეიმჩნევა. მონღოლების პერიოდში, ისე როგორც ადრე, ქართული სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლეთის ბაზარზეა მიბმული და იქ არსებული სიტუაციის მიხედვით ვითარდება. შავი ზღვის გააქტიურებასთან ერთად, როდესაც რეგიონში გენუელები გამოჩნდნენ, დასავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრები ვაჭრობის არსებითად ახალ ფორმაში ჩაებნენ.

მოკლედ რომ ავხსნათ, შუა საუკუნეებში სამევახშეო ფუნქცია ეკლესიასთან ერთად, ვაჭრებს ან სავაჭრო კორპორაციებს აქვთ მონოპოლიზებული. მევახშეობა ფულის, როგორც ქონების ცენტრალიზაციას ახდენს, სადაც წარმოების საშუალებები დაქსაქსულია.¹ ის პარაზიტობს და არ ცვლის წარმოების წესს ან არ იწვევს არსებულ ფორმაციაში ცვლილებებს. მევახშის ან სამევახშეო ორგანიზაციის ხელში შეიძლება აღმოჩნდეს მემამულეთა მიწების გარკვეული ნაწილი ან სრულად. არის ფაქტები, როდესაც ვალის სანაცვლოდ მათ ქალაქებიც კი ჩაუგდიათ ხელთ. მაგალითად, ჩვენი ისტორიიდან ცნობილია სადუნ მანკაბერდელი, რომელიც მართალია, ათაბაგია და ყოფილი ათაბაგების ყოფილი ყმა, ფრიად შეძლებული ადამიანი გამხდარა მონღოლებთან ურთიერთობისას. ხარკი, რომელიც საქართველოს მონღოლებისთვის უნდა გადაეხადა, სადუნმა თავისი პირადი სახსრებით გაისტუმრა. ვინაიდან დემეტრე მეორეს, ანუ ქართულ სახელმწიფოს სადუნისთვის ვალის გა-

¹ კ. მარქსი. ტომი 3 ნიგნი 2. გვ. 172.

სტუმრების შესაძლებლობა არ გააჩნდა, ვალის სანაცვლოდ, მეფემ სადუნს ქალაქი დმანისი გადასცა.¹ არის სხვა მაგალითიც XIII საუკუნის ანისელი დიდი ვაჭრის, ტიგრან ჰონეცის შესახებ, რომელიც ფულს ვახშად გასცემდა. იგი ფლობდა მამულებს, სასტუმროებსა და წყალსადენებსაც კი. მეორე ანისელმა ვაჭარმა, ავეტენც საჰმადინმა 1264 წელს მთელი ერევანი შეისყიდა.² ამ შემთხვევაში სწორედ დიდძალი ქონების კონცენტრაციასთან გვაქვს საქმე. თუმცა, ამ პირობებში, როგორც აღვნიშნე, წარმოების საშუალებები დაქსაქსულია. არსებითად არაფერი იცვლება. ამ ქალაქებიდან ადრე თუ სახელმწიფო, ანუ მეფე იღებდა შემოსავალს, ახლა მევახშის, ვაჭრის ხელშია სარგებელი გადასული. შუა საუკუნეებში გლეხს ან ხელოსანს სესხი სჭირდება პირადი საჭიროებისთვის, ან ბატონისთვის გადასახადის დასაფარად. მევახშეს კი ფული სჭირდება არა როგორც კაპიტალი, არამედ როგორც ფული, რომელიც განძად გადაიქცევა. აი, ამ განძს კი ის უკვე აქცევს კაპიტალად, რისი მეოხებითაც მიიტაცებს ზედმეტ შრომას, ძირითადად, ბეგარის სახით, მცირე ნაწილს კი ხელოსნებისა და საქალაქო სავაჭრო შემოსავლებიდან.³ მის მიერ გაცემული სესხი რჩება სესხად და არა კრედიტად, ანუ ფული არ გაიცემა ნისიად ვაჭრობისთვის.

ზემოთ აღნიშნული პროცესი პაატა გუგუშვილს დახასიათებული აქვს, როგორც თავდაპირველი დაგროვების ჩანასახები.⁴ გუგუშვილი აქ გულისხმობს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესს, რისთვისაც დამახასიათებელია ქონების ერთეულების ხელში კონცენტრაცია, სოფლიდან გლეხობის

¹ პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტომი მეორე. თბ. გვ. 146.

² პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტომი მეორე. თბ. გვ. 144-145.

³ კ. მარქსი. ტომი სამი. წიგნი 2. გვ. 174.

⁴ პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში.

ქალაქად გადმოსროლა და გზადაგზა წარმოების წესის ცვლილება. განსახილველ პერიოდში სიმდიდრის კონცენტრირება სახეზეა, ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ ვაჭრების ხელში დიდძალი ქონების, მათ შორის, ქალაქების გადასვლაზე. ჩვენ არ ვიცით, ვაჭართა და მევახშეთა ხელში ქალაქების გადასვლა ხელს შეუწყობდა თუ არა სანარმოო საშუალებების ცენტრალიზებას, თუმცა საქართველოს სოციალური ურთიერთობების ქსოვილში რაღაც ცვლილებები უნდა გამოენვია.

იტალიელი სოციოლოგისა და ეკონომისტის, ჯოვანი არიგის მიხედვით, კაპიტალის დაგროვებას რამდენიმე ცენტრი გააჩნია. პირველი ასეთი იყო გენუა. იტალიური ქალაქ-სახელმწიფოები ფისკალური კრიზისის წინაშე დადგნენ. სამხედრო საჭიროებისა და სახელმწიფო ვალების გამო ჯერ მევახშეების, შემდეგ კი ფინანსური ორგანიზაციების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. ასე მოექცა გენუის სავაჭრო ორგანიზაციები „წმინდა გიორგის ბანკის“ ხელში. ბანკი კი მევახშეობის საპირწონედ იქმნება, ქალაქებისა და დიდი სავაჭრო ორგანიზაციების ქონება მევახშეების ხელში რომ არ აღმოჩენილიყო.¹ გენუა მალევე ამყარებს სავაჭრო ურთიერთობას საქართველოსთან. აღსანიშნავია, რომ პ. გუგუშვილის დაკვირვებით, ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და სავაჭრო ოპერაციების მეშვეობით იმდენი ქონება დაგროვდა, რომ თავისი სიდიდის მიხედვით უახლოვდება XII-XIII საუკუნის იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოებს.² ქალაქი ყარსი, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა და საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, XIII საუკუნეში სავაჭრო ხელშეკრულებას აფორმებს გენუასთან. პაატა გუგუშვილის აზრით, ამ დროს ყარსი თავისუფალ ქალაქს

¹ жовани Арриги. Долгий Двацатый Век. Денги, Власть и тстоки Нашего Времени. Перевод А. смирнова и Н. Зделмана. Москва. 2006, გვ. 141.

² პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. გვ. 144.

უნდა წარმოადგენდეს.¹ მოგვიანებით გენუა შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩნდება თავის ფაქტორიებით და ამ ტერმინალის მონოპოლიზებით ის მთავარი საზღვაო სავაჭრო სახელმწიფო ხდება.

გენუა სავაჭრო კონკურენციისა და სამხედრო ელიტის ურთიერთდაპირისპირების შედეგად ხდება მთავარი სავაჭრო სახელმწიფო, რასაც პირველი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება და საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბების ზრდა მოჰყვება. მართალია, სავაჭრო ფაქტორიები „წმინდა გიორგის ბანკის“ ხელში გადადის, თუმცა სავაჭრო კაპიტალის ინტერესები მაინც დაცულია. პირველი ბანკები, რომლებიც გენუასა და ვენეციაში შეიქმნა, მევახშეებისა და ფულის მონოპოლისტებისგან გათავისუფლებას ცდილობდა. ეს ბანკები ამ ქალაქ-სახელმწიფოს ელიტის მიერ შეიქმნა, რითაც როგორც სახელმწიფოს, ასევე ახლად ჩამოყალიბებული სავაჭრო „ბურჟუაზიის“ ინტერესებსაც იცავდა, მათი ინტერესები კი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვეოდა.²

საქართველოში, როგორც ვნახეთ, ზომაზე მეტად გამდიდრებულ ვაჭარ/მევახშეთა ფენა ვალის სანაცვლოდ ქალაქებსაც კი იგდებს ხელთ. პაატა გუგუშვილის ციტატა რომ მოვიხმოთ: **„საერთოდ უმეკი, სადუნ მაჰმუდ იალაფაჩი, მანკაბერდელი, ტიგრან პონენცი, პარონ ზანქან ზორაბაბელი თავისი დროის საქმოსნები არიან, რომლებიც კომერციული და საერთოდ მეურნეობრივი მეწარმეობის მხრივ აგრძელებენ უფრო ადრე, მე-11-12 საუკუნეებში ჩასახულ თაოსნობას, რომლისთვისაც სავსებით არ იყო უცხო დაგროვება დაგროვებისათვის, რომლებშიაც დაბუდებული ჭია უკვე ისევე ღრნის ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებულ ნორმებს, როგორც მე-11-12 საუკუნეებიდან იტალიის ქალაქ-სახელმწი-**

¹ გუგუშვილი. გვ. 147.

² მარქსი 3. ნიგნი მეორე. გვ. 178.

ფოებში მოქმედი ბიოთათაგან (ზარაფთა), მალე „ბანკირთა“ ასოციაციები, რომელთაგან წარმოიქმნენ ისეთი საკრედიტო კომპანიები (ბარდის, ვაჭარი-მევახშეები, ასოციაციები დ., კამ-რომელ- ცნობილი პერუჩჩის, სავაჭრო და აკაიუოლის, ალბერტის, ფრესკობაღდის, მოჩჩის, მედიჩისა და სხვ.), რომლებიც სწორედ ისევე ატრიალებდნენ მეფე-მთავართა და დიდებულთა ბედილბალს, როგორც სადუნ მანკაბერდელი, ზანქან ზორაბაბელი და მისთანანი“.¹

რა გამოდის, საქართველოს ერთიანი სამეფოს წარმოქმნასა და მის საერთაშორისო ვაჭრობაში მეტ-ნაკლებად ინკორპორირების შემდგომ პროცესები ისე მიმდინარეობს, რომ პირველადი დაგროვების ჩანასახებთან შეიძლება გვექონდეს საქმე. თუმცა, მონღოლების გამოჩენასთან ერთად, მართალია, ვაჭართა და მევახშეთა ფენა უფრო მეტად შლის ფრთებს, მაგრამ პროცესები სხვანაირად მიმდინარეობს. აქ მევახშეობა კი სწოვს სისხლს ადგილობრივი წარმოების პროცესს, თუმცა მის განადგურებას ვერ ახერხებს. მიუხედავად სამეფო ხელისუფლების შესუსტებისა, მამულების გარკვეული ნაწილის მევახშეთა ან სამევახშეო კორპორაციების მიერ მითვისებისა, ფეოდალური ურთიერთობები ჯერ კიდევ მყარად დგას.

მარქსი აღფრთოვანებით წერს იტალიური სავაჭრო ქალაქების აღმავლობაზე, რომლებიც უფრო მეტად ერთვებიან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, თუმცა ისინი ნომინალურად მაინც არიან დამოკიდებულები იმ ქალაქების მარკ-გრაფებზე. ეს ქალაქები ნელ-ნელა მოიპოვებენ დამოუკიდებლობას. მარქსთან მათი სუვერენულობა მნიშვნელოვანია ადრეული სავაჭრო კაპიტალიზმისთვის, რომელიც ფეოდალური წარმოების დროს მოქმედებს. გენუამ და სხვებმა ამ მდგომარეობას მიაღწიეს საკუთარი მდგომარეობისა და თავისებური ეკო-

¹ გუგუშვილი. გვ. 151

ნომიკური ურთიერთობების ფონზე, რასაც ხელი შეუწყო ვაჭრობამ და საზღვაო ურთიერთობებმა.¹ ქალაქ-სახელმწიფოები ბანკირებამდე და ფინანსისტებამდე აღზევდებიან. როგორც ამბობენ, სწორედ ისინი წარმოადგენენ ადრეული მოდერნის კაპიტალს, რომლებიც ფეოდალებს უპირისპირდებიან.²

გენუას, როგორც კაპიტალის დაგროვების პირველ ცენტრს, თავისი პირვანდელი დაგროვების ნიშნები უნდა ახასიათებდეს, რის შედეგადაც მიმდინარეობს საფინანსო კაპიტალის აღზევება და ადრეული ფინანსური კაპიტალიზმის პირველი ეტაპი. მარქსის დაკვირვებით, პირველ კაპიტალისტურ ერს იტალია წარმოადგენს. შუა საუკუნეების საქართველოზე ერის ცნების მიყენება გაჭირდება, აქ მიმდინარე სამეცნიერო დებატების მიუხედავად. მოგვიანებით, მაგალითად XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერიაში შემავალ საქართველოში მნიშვნელოვანი პროცესები ვითარდება. რუსეთის იმპერიაში განვითარებას იწყებს კაპიტალისტური ურთიერთობები, ბატონყმობა უქმდება და იწყება პირვანდელი დაგროვების პროცესი. ამ დროისთვის სავაჭრო კაპიტალი ძირითადად სომხების ხელშია კონცენტრირებული და მომავალი საწარმოების მფლობელები ან სომხები, ან რუსები, ან უცხოელები არიან. მოგვიანებით გამოერევიან ქართველი მრეწველები, სარაჯიშვილი და სხვა. თუმცა, საქართველოს ბურჟუაზია ძირითადად არაქართულია. სავაჭრო კაპიტალის სომეხი ვაჭრების ხელში კონცენტრაციამ და მათ მიერ გაცემულმა სესხებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართული თავადაზნაურობა. მათი მიწები მევახშეთა ხელში აღმოჩნდა და ქართული არისტოკრატია ფინანსურად ძალიან დაზარალდა. სწორედ ამ დროს იქმნება სათავადაზნაურო ბა-

¹ Michael R. Kratke. Marx and Worls history. International review of Social History. Volum 69. Issue 2. August 2024. გვ. 108.

² Michael R. Kratke. Marx and Worls history. International review of Social History. Volum 69. Issue 2. August 2024. გვ.109.

ნკი, რომელიც ამ მიწების შენარჩუნებაზე იყო ორიენტირებული. ის, რაც იტალიურმა ქალაქებმა ადრეულ ეტაპზე გაიარეს, საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ხდება შესაძლებელი, რადგან ფეოდალური ეპოქის შეზღუდულობა და მისი პერიფერიული როლი ვაჭრობაში განსაკუთრებული ცვლილებების შესაძლებლობას არ იძლეოდა. მონღოლების პერიოდმა საგრძნობი ეკონომიკური დეკადანსი გამოიწვია. ხარკისა და გადასახადების სიდიდემ ქვეყანა უაღრეს კრიზისამდე მიიყვანა. ცვლილებების ნაცვლად, აქ ფეოდალური მეურნეობა კიდევ უფრო ჩაიკეტა და გამსხვილების ნაცვლად, დანაწევრებით/გაყოფით მივიდა სათავადო სისტემამდე, რომელიც ბატონყმობის ხელმეორე გამოცემის პროცესის მაგვარი იყო. თუმცა, აქ მეურნეობა კიდევ უფრო თვითკმარი და ჩაკეტილი გახდა. თუ გენუასა და იტალიურ სახელმწიფოებში კომუტაციამ ადრეულ პერიოდში მიაღწია თავის პიკს, აქ ვაჭრობისა და დიდი ვაჭრების ფენის არსებობის მიუხედავად, გაცვლა კვლავ ფული-საქონელი-ფულის ფორმულით მიმდინარეობდა.

უნდა ითქვას, რომ ქართული არისტოკრატია მუდამ გაუცხოებული იყო ვაჭრობისგან და ვაჭრებს ცხვირსაც უბზუებდა. ქართველი ფეოდალისთვის ვაჭრობა სასირცხო საქმედ მიიჩნეოდა. განსახილველი პერიოდის დროს კი საქართველოს მეფის მეჭურჭლეთუხუცესი არ თაკილობს ბაღდადში ძვირფასი თვლების შესყიდვას და მის საქართველოში გაყიდვას. მხედველობაში მაქვს კახა თორელი, რომელიც მონაგები და ნასესხები ფულით ყიდულობს სოფელ ხოვლეს, რომელსაც რკონის მონასტერს შესწირავს. საინტერესო აქ იწყება, კახა თორელი სოფელს იმ პერიოდის სავაჭრო-სამეცავშეო ორგანიზაციისგან, ორტალისგან გამოისყიდის. აღმოჩნდა, რომ მონღოლების პერიოდში საქართველოში ფუნქციონირებდა საკრედიტო ორგანიზაციის წინაპარი, რომელსაც ორტალის სახელით ვიცნობთ.

მის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ კახა თორელის რკონისადმი დაწერილ დოკუმენტში ვხვდებით. დოკუმენტი არაერთხელ არის განხილული და ორტალის თვისებაზე დაწერილა აქამდეც ქართულ ისტორიოგრაფიაში. თუმცა ჩვენ ის სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო უფრო გვაინტერესებს, რაზედაც თავისი აზრი პაატა გუგუშვილს გამოთქმული აქვს დიდი ხნის წინ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დოკუმენტის კონკრეტულ პასაჟს ციტატის სახით შემოგთავაზებთ და მსჯელობისას პუნქტების სახით გავშლი.

მაშ ასე, კახა თორელის დაწერილი რკონის მონასტრისადმი:

„შვილი არ გვესუა და ვიყიდეთ სოფელი ხოვლე თქუენთვის, მემამულეთა აღბუღასგან და მისთა შვილთაგან გასყიდულნი, ვითა თუით დაწერილნი მათნი თქუენს წინაშე დაგუისხმან – ორტალთა ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ. მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან. ოქროჲ ძუირად იყვის და სოფელი იეფად.

პატრონმან მამამან ჩემმა ეზომი მამული დამიგდო, რომე, თუმცა სხუა რომელი მამულისა სოფელი შემომენირა, ესეც ხელმენიფებოდა, მაგრა, თუ შვილი მომეცემის, მას არ ვემართლები და თუ შვილი არ მომეცემის, ჩემთა ძმათა არ უზმიდი და ჩემგან ნასყიდი უკეთე დაგრჩებოდა.

მას ჟამსა, ოდეს ბაღდადი გატეხეს თათართა, პატრონმან აფხაზთა მეფემ ულაოს წინაშე გამგზავნა მოციქულად. მაშინ ბაღდადური ალაფი ყუელაჲ იეფად იყო.

და მე არა მქონდა სასყიდელი. ნავიდი, ორტალთაგან ლარი და თეთრი ავიდი. ვიარებოდი და ვიყიდდი თუალსა, მარგალიტსა და ზარქაშსა, ორტალთა მათი ხელთავე მივსცი და მე შიგა ეზომი დამრჩა, შენითა წყალობითა, რომე ხოვლისა ფასი მითა მოვიგე და ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისაგან ნახევარი და ნახევარი ჰასან სუმბატისძისა სომეხისაგან და იოსებ ბულფაისძის ჰურიისაგან.

მათ სამოცდა ხუთი ათას თეთრად ეყიდა აღბუღასაგან და მისთა შვილთაგან, ვითა დანერილისა შიგა სწერია.

და ან მე მივეც ფასი სრული. და ჰასრე მიმჭირდა ამისა სყიდვასა შიგა, რომე ზოგი მათ მომსყიდელთა წამილიან იეფად: რაიც ხუთი ათას თეთრად ღირდის, ორ ათასად ძლივ დავაჭირვინი, და ზოგი სხუაგან დიდებულთა ზედა გავყიდი, რაიც ათი-ათას თეთრად ღირდის, ხუთი ათასად ძლივ გავყიდი და ეგრევე გარდავეც ყუელაჲ.

და არა ვისი წამიგია ამას შინა, რომე ასი ცხუარი და ექუსასი თეთრი პატრონმა მამამა ჩემმა მიბოძა და ერთი ჯუბაჩანი-საჰმადავლა. სხუაჲ არაფრისი მომიხმარებია ხოვლის ფასსა შიგა: არცა მამეულისა, არც დედულისა, არც სხუა არა გუარისაი, ამა ზემონერითა მადლმან და მან დღემა, რომლისათუის შემოგუინირავს¹.

პირველი სამი ფაქტი, რაც თავიდანვე გვინდა გამოვყოთ დოკუმენტიდან, არის ის, რომ, კახა ორტალზე გაყიდულ მამულს გამოისყიდის და მას შესწირავს მონასტერს; მეორე არის ორტალის ნაციონალური შემადგენლობა: წარმოდგენილი სამი პირი არის სპარსელი, სომეხი და ებრაელი; და მესამე, სოფელი ორტალს აღბუღასგან 65 000 ათას თეთრად შეუსყიდა, რისი სრული ფასიც გადაიხადა კახა თორელმა.

აღბუღას მამული ორტალს შეუძენია, ორტალისგან კი მიწა სამ პირს გამოუსყიდა. სწორედ მათგან ყიდულობს კახა თორელი ხოვლეს. არის ვერსიაც, თითქოს აღბუღას დაგირავებული უნდა ჰქონოდა მამული, ვალის გადაუხდელობის გამო კი ის ორტალის ხელში გადავიდა.² ნოდარ შოშიაშვილის აზრით, აქ სულაც ორი ორტალია წარმოდგენილი: ერთ ორტალს წარმოადგენს ხოჯა სალამის ოჯახი, მეორეს – ჰასან სუმბატის ძე და იოსებ ბულფაისძე

¹ ქართული სამართლის ძეგლები. წიგნი II. თბ. 1966, გვ. 57-58.

² პ. გუგუშვილი. გვ. 122.

ჰურია.¹ იმის არგუმენტი, რომ საბუთში ორი ორტალი იხსენიება, მხოლოდ ჩამოთვლილი პირების ასე დანანევრებულად მოხსენიებაა. მიუხედავად იმისა, იხსენიება თუ არა ორი ორტალი, ორტალეების მრავლობით რიცხვში არსებობა რეალურია. ამ შემთხვევაში, პაატა გუგუშვილის აზრით, მნიშვნელოვანია არა მათი რიცხოვნობა, არამედ ის, რომ ისინი ერთმანეთთან კავშირში არსებობენ და სარგებლის ერთიან ნორმას შეთანხმებულად განსაზღვრავენ.²

რადგან შუა საუკუნეების ქართული სამართალი ფეოდალურია, სამართლის ძეგლებში ვერ შევხვდებით ვაჭართა ორგანიზაციების მარეგულირებელ მუხლებს, მხოლოდ ვაჭრების ფასი თუ არის განსაზღვრული მისი რანგის მიხედვით ან თითოთოროლა პუნქტი ნაძარცვ ან დაკარგულ სავაჭრო საქონელზე. ბექა-აღბუღას სამართლის შესაბამის მუხლებზე დაკვირვებით ბაბილინა ლომინაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ სამართლის ძეგლის მიხედვით, საკმაოდ იგრძნობა ვაჭართა დაცემული მდგომარეობა და მათ დაცვას შესაბამისი მუხლებით ცდილობენ.³ თუმცა, ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, შუა საუკუნეების ქართულ სავაჭრო კორპორაციებს საკუთარი კორპორაციული სამართალი და იერარქია გააჩნდა. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულია ვაჭართუხუცესი, რომელიც საერთო საქმეებს უძღვებოდა. დიდი დარბაზობის დროს დიდვაჭრებს სწორედ ვაჭართუხუცესი მიუძღოდა წინ ან სულაც, ამირთ-ამირასთან ერთად ახლად შემოტანილი საქონლის ფასსა და ნიხრს განსაზღვრავდა.⁴

¹ ნ. შოშიაშვილი. „რკონის დანერილი“ როგორც ისტორიული წყარო. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი. ხელმძღვანელი: საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი – პროფესორი ნ. ბერძენიშვილი. თბ. 1952, გვ. 265.

² პ. გუგუშვილი. გვ. 123.

³ ბ. ლომინაძე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XV სს. გარდამავალი ფენა – მსახური, ვაჭარი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. საქართველო XI-XV საუკუნეებში. რედ. ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა. თბ. 1979, გვ. 272.

⁴ ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე. თბ. 1984, გვ. 236.

პაატა გუგუშვილის აზრით, რკონის დაწერილის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდის საქართველოში ემბრიონულ ფაზაში იყო იპოთეკური და კომერციული კრედიტი.¹ ვალის სანაცვლოდ რაიმე ნივთის ან ქონების ჩადებას, ქართული საბუთების მიხედვით, წინდი და ნახუთევი ეწოდება. ნახუთევი, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ზმნისგან „ხუთვა“ უნდა მომდინარეობდეს. შესაბამისად, გასაგებია სასესხო ვალდებულება რამდენად მძიმედ აწვა მსესხებელს, განსაკუთრებით კი მწარმოებელ ფენას, ანუ გლეხობას.²

ვახტანგის სამართალში შემავალი ე.წ. სომხური სამართლის 133-ე მუხლის მიხედვით: **„ქ. ვინც ვისგან აიღოს ვალი და დაუდვას გირაო, რომე იყოს მინა, და დადვან პირობა, რომე თეთრის სარგებელში მინა მოხსნას მასუკან, როსაც თეთრი მისცეს, ისივ თავანი უნდა მისცეს“**.³ იმავე სამართლის 134-ე მუხლის მიხედვით, თუ მსესხებელს დაგირავებული ნივთი გადაუხდელობის გამო გაუყიდეს, ანუ სხვაზე გადაყიდეს, შემდგომში ფული რომ იშოვოს, გაყიდულ-დაგირავებულს ველარ გამოითხოვს.⁴ იმავე სამართლის 135-ე მუხლის მიხედვით, თუ ვინმეს რამდენიმე ადამიანისგან აქვს ვალი აღებული და ვალი მოითხოვონ, პირველი ვალის გასტუმრება იმას ეკუთვნის, ვისგანაც პირველად ისესხა, მეორე – მეორეს და ა.შ.⁵ დაშვება, რომელსაც ნოდარ შოშიაშვილი გეთავაზობს, რომ კახა თორელის საბუთში ორი ორტალი უნდა იხსენიებოდეს, ასეთ რამეს გვაფიქრებინებს: ხოვლეს პირვანდელმა მფლობელმა აღბუღამ ნაწილ-ნაწილ ხომ არ აიღო ვალი მევახშეებისგან და სწორედ ამ პრინციპით ხომ არ გადანაწილდა მინის შესყიდვის თანხა მათზე? ან

¹ პ. გუგუშვილი, გვ. 135.

² ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე. თბ. 1984, გვ. 131-132/

³ ვახუშტის სამართალი, გვ. 261.

⁴ ვახუშტის სამართალი, გვ. 262.

⁵ ვახუშტის სამართალი, გვ. 262.

სულაც, ერთი ორტალის წევრებთან თუ გვაქვს საქმე, მაშინ რა გამოდის, თუ დავუშვებთ, რომ ალბულამ სესხის სანაცვლოდ დაკარგა მინა, 65 ათასი თეთრი ამ სამი ოჯახის საბრუნავი კაპიტალია, რომელიც ორტალის საქმიანობაში მონაწილეობს თუ საკუთრივ ორტალის? რკონის დაწერილში ორტალი მართლაც ორჯერ იხსენიება. ის, რომ ალბულას საბუთი კახა თორელს მეფის ღვთისმშობლის წინაშე მოუხსენებია: „**ორტალთა ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ**“, და მეორედ: „**მე არა მქონდა საყიდელი, წავიდი ორტალთაგან ლარი და თეთრი ავიღი**“.¹ საბუთში ნახსენები სამი ოჯახი ნამდვილად რომ ორტალს წარმოადგენს, ეს უდავოა, რადგან კახა თორელის თქმით, ორტალზე გაყიდული სოფელი მათგან იყიდა, გამყიდველები კი ჯოჯა სალმაის ცოლი და შვილები, ჰასან სუმბატის ძე სომეხი და იოსებ ბულფაისძე ებრაელია. მეორე საფინანსო ოპერაცია კი ასე გამოიყურება: კახა თორელს საკმარისი ფული არ ჰქონდა და სოფლის სახსრებისთვის ორტალებისგან აუღია ვალი. სიტყვის „ორტალთაგან“ მრავლობითში ხსენება სწორედ ამას გვაფიქრებინებს, ისევე როგორც ალბულას სოფელი „ორტალთა ზედა“ გაუყიდა. ნაკლებ სავარაუდოა, კახა თორელს სწორედ იმ ორტალებისაგან ესესხა ფული, ვისგანაც იყიდა მინა. თუმცა, მეორე შემთხვევაში, ორტალი უფრო მოგებული დარჩებოდა, რადგან მინაც გაყიდა და მათსავე საკუთრებაში მყოფი მინის ნასყიდობის ფული თვითონვე გაასესხა. მართალია, აქ ორტალებისაგან კახა თორელს სრული 56 ათასი თეთრი არ უსესხებია, მაგრამ თანხის მნიშვნელოვან ნაწილზე უნდა იყოს საუბარი. კახა თორელმა ორტალებისაგან აიღო ლალი და თეთრი, ფულით შეისყიდა ძვირფასეულობა. მერე ეს ძვირად ღირებული ნივთები გადაყიდა, მოგებული ფულით ორტალებს ვალი გაუსტუმრა და ზემოდან გარკვეული თანხაც

¹ ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 56-57.

მოიგო, სწორედ მოგებული ფული წარმოადგენს სოფლის საფასურის ნაწილს.

დოკუმენტის მიხედვით, იმ პერიოდში ოქრო ძვირად იშოვებოდა, სოფელი კი იაფად, რაც ეკონომიკურ კრიზისზე მიუთითებს. მონღოლების გამანადგურებელმა ლაშქრობებმა და ხარკმა საქართველო განადგურების პირას მიიყვანა. თუმცა სოფელში გადახდილი 65.000 თეთრი რამდენად უნდა მიუთითებდეს იმ პერიოდის სიიაფეს? სოფლის ფასში, რა თქმა უნდა, საგლეხო ფუძის ფასი ძირითადია, რადგან ის წარმოადგენს ფისკალურ ერთეულს და სოფლის ფასიც იმით განისაზღვრება, თუ რამდენფუძიანია სოფელი. აპოლონ თაბუაშვილის დაკვირვებით, სოფელ ხოვლეში გადახდილი საფასურიდან 40.000 ათასი თეთრი გლეხის ფუძეზე უნდა მოდიოდეს, დანარჩენი 20.000 თეთრი კი – ზვარ-ხოდაბუნების, სამეურნეო ნაგებობებისა თუ ველ-მინდვრების ფასი უნდა იყოს.¹ საგლეხო ფუძის ფასი კი დაახლოებით 57-620 თეთრი გამოდის. აპოლონ თაბუაშვილის ეს გამოთვლა თანხვედრაშია ნიკორწმინდელის დაწერილ საბუთთან და მისივე დაკვირვებით, აღნიშნული ფასი 20-30 %-ით იაფი უნდა იყოს XI-XII საუკუნეებთან შედარებით.²

პაატა გუგუშვილი სწორად ასკვნის, რომ კახა თორელი სავაჭრო ოპერაციების შემდგომ ორტადს უბრუნებს როგორც თავანს, ასევე, სარგებელსაც აძლევს. სარგებელში კი მინა არ ჩაუდო გირაოში, რაც ვალის გადახდის შემთხვევაში უკან დაუბრუნდებოდა.³ მიუხედავად იმისა, რომ რკონის დაწერილი რამდენიმე ათეული წლით უსწრებს ბექა-აღბულას სამართალს და ისიც მხოლოდ სამცხისთვისაა შექმნილი, ვიცით, რომ ეს ნო-

¹ ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.) თბ. 2019, გვ. 198-199.

² ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.) თბ. 2019, გვ. 200.

³ პ. გუგუშვილი, გვ. 134.

რმები მანამდეც და მერეც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდა. ამიტომ ბექას სამართლის 43-ე მუხლის მიხედვით, თუ კაცს კაცის სახმარი მიწა ან სხვა ქონება ჰქონდა წინდად და თუ სარგებელს გადაიხდიდა, მიწა უკანვე დაუბრუნდება მეპატრონეს.¹ აღბუღას სამართლის 94-ე მუხლი შემდეგ რამეს განსაზღვრავს: თუ კაცმა კაცს ვალი **სასარგებლოდ** ავალოს, ათას თეთრზე ათას ორასი მოსთხოვოს წელიწადშიო. ვახშის ვახშის მოთხოვნა არ შეიძლება, ანუ პროცენტის პროცენტის, ხოლო მიწას ცოტა საქონლით თუ ჩაიდებს გირაოში, რადგან ვახშს გაუტოლდებაო.² ამ მუხლში „სასარგებლოდ გაცემა“ რას ნიშნავს, ბუნდოვანია, თუმცა სესხი სხვადასხვა საჭიროებისთვის გაიცემოდა, ეს ნათელია. ხომ არ ნიშნავს ეს კონკრეტული მუხლი იმას, რომ გასესხების ეს ფორმა ეხებოდა მსესხებლისგან აღნიშნული ვალით რაიმეს მოგებას ან ვაჭრობას, ან შესყიდვას, როგორც კახა თორელის შემთხვევაში ხდება. ეს მხოლოდ ვარაუდია და ამის მტკიცება გადაჭრით შეუძლებელია.

ამ შემთხვევაში ორტალი გირაოდ თუ მიწას ჩაიდებდა, პროცენტის სახით უნდა მიეღო გლეხთაგან ბეგარა, რაც საგლეხო მეურნეობას კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა.

რამდენი ისესხა კახა თორელმა ორტალებისგან, არ ჩანს, თუმცა ვიცით, რომ მამამისმა 100 ცხვარი და 600 თეთრი მისცა, 500 თეთრი ბიძას მიუცია, კიდევ 500 თეთრი – ჯუბაჩანი-საჰ-მადავლას.

თუ ადრეულ პერიოდში ვალს ვაჭრებისა და მევახშეებისგან იღებდნენ, გვიან პერიოდში ვალს ფეოდალური წრის წარმომადგენლებიც გასცემენ ერთმანეთზე. მეტიც, ერთი ოჯახის შიგნითაც ხდება ვალის გაცემა.

ვახტანგის სამართლის წიგნი გვამცნობს: **„ვალის ეს მოგახსენოთ, რომე ქართლში, კითხვა აგრერიგად ყოფილა. ამ ახლო**

¹ ვახტანგის სამართალი, გვ. 440

² ვახტანგის სამართალი, გვ. 462.

ხანებშიაც თუმანი თვეში ხუთ აბაზადაც მისცემია, ოთხ აბაზადაც, სამ აბაზათაც, ათ შაურათაც, ორ აბაზათაც, ხუთ შაურათაც, აბაზადაც, სამ შაურადაც, ორ შაურადაც, დიად, ამაში ბევრი გვარიც ქნილა. ასე რიგად მოცემაზე სარგებლის სარგებელიც აღებულა, – რამდენი წელიწადი დაგვიანებია, იმდენი სარგებელიც გამოურთმევიათ“.¹

1711 წლის დოკუმენტი მოგვითხრობს, რომ ბეჟან და ლუარსაბ თარხნიშვილებს მათი ბიძაშვილის, ზაალის ვალი ემართათ. როგორც ჩანს, ზაალი თავდები უნდა იყოს ამ ვალში, რადგან ერთ ადგილას დოკუმენტში ვკითხულობთ: **„დღეის უკან, თუ ჩვენ უშენოთ ვალი ავიღოთ... რაც ვალი ავიღოთ, თავად უნდა გარდავიხადოთ. შენ ჩვენს აღებულ ვალთან ხელი არ გქონდეს“.**²

ვალი – ნახევარი თქვენი, ნახევარი ჩვენი – სწორად უნდა გადავიხადოთ, – უნერენ ძმები ზაალს. ამ ვალის 60 თუმნის გირაოში კი ლისის მამულებს აძლევენ გლეხებითურთ, 25 თუმნის გირაოში კი ვინმე მამუკასთვის მიუციათ წინარეხში თავიანთი გლეხი მისივე მამულით. ამ დოკუმენტში ნახსენებ ზაალს უკვე თვითონ აუღია ვალი სახლთუხუცეს ალიმბარასგან თერთმეტი თუმანის ოდენობით, გირაოში გლეხები ჩაუღია მათივე მამულით, გუდალეთს – ნიკოდიმე, წინარეხს – ლეკვეიშვილები, ახალქალაქს – ყანდაურაშვილები. თუმცა, ერთი პირობით, ბეგარა კვლავ ზაალს რჩებოდა, პროცენტი კი თეთრის სახით უნდა გადაეხადა.³ როგორც ჩანს, ზაალს ამ გლეხებისგან საკმაო რაოდენობის ბეგარა ეკუთვნოდა და პროცენტში მისი გაცემა არ სურდა. აკი ზემოთ ვისაუბრეთ, ქართული სამართლის

¹ ვახტანგის სამართალი, გვ. 512.

² მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 11-12.

³ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 13.

მიხედვით, თუ გამოსაღები ვალის პროცენტს აღემატება მისი სრულად ჩაბარება მევახშისადმი, კანონით აკრძალულია, მევალეს მხოლოდ იმდენის აღება ეკუთვნის, რამდენიც თავანი და სარგებელი იქნება.

1721 წლის საბუთში საპირისპირო შემთხვევაა დაფიქსირებული. ქაიხოსრო სოლოლაშვილს თავისი სიძისგან, ზურაბ ბარათიშვილისგან 30 თუმანი ახალი თეთრი აუღია ვალად. სარგებლის ნაცვლად კი სოფელი ასურეთის თავისი წილი ჩაუდია გირაოში, იმ პირობით, რომ ბეგარა ბარათიშვილმა მიიღოს და სარგებელი არ უნდა ითხოვოს, სანამ ბეგარას თვითონვე გაწკარგავს. თავნის გადახდის პირობებში კი სოფელი ისევ უკან უნდა დაუბრუნდეს.¹

1722 წლის დოკუმენტი გვამცნობს, რომ გარდაცვლილი პაპუნა ციციშვილის ვალის ნაცვლად მისი სახლი აუღია ეივაზ-ბეგს, რომელმაც საკუთრივ ეს სახლი მეჯინიბეთუხუცეს ზურაბ რატიშვილს მიჰყიდა.²

1727 წლის ვალის წიგნი საინტერესო ინფორმაციას გვანვდის. როგორც აღმოჩნდა, ძმებს საერთო ვალი ჰქონდათ. ერთ ძმას ეს ვალი სრულად გადაუხდია. თავისი წილი ვალის გამო კი მეორე ძმას პაპუნასთვის მჭედელი გრძელისშვილი მიუცია, მისივე ძმით, ცოლით და მამულით.³

საინტერესო დოკუმენტია 1737 წლით დათარიღებული თამასუქის წერილი, საიდანაც ვიგებთ, რომ დავით მდივნის შვილს, პატარკაცს ცხრამეტი თუმანი ახალი თეთრი უსესხებია კათო-

¹ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 14.

² მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 16.

³ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 22-23.

ლიკური ეკლესიის წინამძღვარ ფრანჩესკოსგან და თავდებად ყმების გარდა, სახლი და დუქანიც ჩაუდია.¹ საინტერესოა, რომ დუქანი საკუთრების დამადასტურებელი საბუთებით დაუგირავებია.

1724-1744 წლებით დათარიღებული საბუთი შემდეგ რამეს მოგვითხრობს: ვალი თურმე, ოსმალების პერიოდში აღებულია, მევალე გადაუხდელობის გამო გაქცეულა, ვალის ამოსაღებად კი, ფაშას ბრძანებით, მის ნათესავთან მისულან. როგორც ჩანს, ვალი ნათესავს გადაუხდია, ხოლო გაქცეული მოვალის დაბრუნების შემდგომ ვალის საფასური მისგან ამოუღიათ.²

თუ ადრე ფეოდალები და გლეხები სესხს სხვადასხვა დავალიანების ან გადასახადის დასაფარად იღებდნენ, XVIII საუკუნეში სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად სახეზე გვაქვს ვაჭრობისთვის საჭირო თანხების გასესხება და სესხება. ვალი სავაჭრო ურთიერთობების ნაწილი გახდა კრედიტის სახით, სარგებელს კი, როგორც მეცნიერები ასკვნიან, ნავაჭრის მოგებიდან იხდიდნენ. ამაზე მეტყველებს 1756 წლის საბუთი. ალში მცხოვრები ასატურას შვილი პოლოსა ვალს იღებს გორჯასპის მდივნისგან, თან აზუსტებს, რომ ფული აღებ-მიცემობისთვის, ანუ სავაჭროდ სჭირდება. თავანი უპირობოდ უნდა დაბრუნდეს, მაგრამ ვაჭრობის მონაგები და შარი თანაბარი უნდა იყოსო. რა გამოდის, სარგებელს ვაჭრობაში მოგებული ფულიდან იხდის, მაგრამ თუ მოგება ნაკლები იქნა ან ვერაფერი მოიგო, პროცენტი აღარ ეკუთვნის?³

¹ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 26-27.

² მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 30.

³ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 40.

1769 წლის დოკუმენტში სახლის დაგირავების ფაქტია დადასტურებული: მსესხებელი სახლშივე რჩება, გადაუხდელობის შემთხვევაში სახლი მევალეს გადაეცემა.¹

1776 წლის დოკუმენტი კი ლეკების ტყვეობიდან გამოსყიდვის ფაქტზე გვიყვება. გოგია თუმანიშვილი მოქალაქე ზეინალა პეტრეს შვილს დაუხსნია 30 თუმნად, ამის სანაცვლოდ ქალაქის საჯინიბო და ყმები დაუთმოა, სანამ თავანს არ დაუბრუნებდა.²

1777 წლის დოკუმენტი ძალზე საინტერესო ინფორმაციას იძლევა. დოკუმენტში მოცემულია, თუ ვისგან აქვს ვალი ასაღები მევახშეს და ჩამოთვლილია ოდენობა, პიროვნებები. დოკუმენტით ვიგებთ, რომ ფული სხვადასხვა რანგისა და პროფესიის ადამიანებზეა გაცემული: მაგალითად, სირაჯხანას გირაო, სამჭედლოს დუქანი, ჭონხანის დუქნის გირაო, ფული აქვს მისაცემი ყაფლანიშვილს, სიონის ყმა დურგალ პაპას, ნათლია მესანთლე ასლანას, მუხრან ბატონის აზნაურს – თამასუქი, ბატონიშვილ აღმასხანს – 25 თუმანი, ერისთვის შვილს და ასევე, ვინმე მენვრილმანეს.³

XVIII საუკუნეში იზრდება სავაზშო კაპიტალის ოდენობაც.⁴ მასზე უკვე სხვა ტიპის მოთხოვნაც გაჩნდა. აპოლონ თაბუაშვილს სავაზშო კაპიტალზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მოჰყავს ერთი დოკუმენტი იოსებ და აღულა ყორღანაშვილების მიერ თამასუქით გაცემული სესხის ოდენობის შესა-

¹ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 45.

² მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 49.

³ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 53.

⁴ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 62.

ხებ, რომელიც 2.000 თუმანს აღწევდა. მხოლოდ ამ ორი პირის მიერ გაცემული სესხის ოდენობით შეგვიძლია განვაზოგადოთ, თუ რამხელა თანხა ტრიალებდა გასასესხებლად.¹ 1748 წლის თამასუქის საბუთით, მანუჩარ თუმანიშვილს 156 თუმანი ემართა ბასტამანთ მისლდისის შვილის სტეფანესი. ეს ბასტამანთ სტეფანე იმ პერიოდისთვის აქტიური მევახშე ჩანს, რადგან მას შეხვდებით სხვადასხვა სასესხო დოკუმენტში.² 1799 წლის თამასუქის საბუთით, გიორგი XII-ს ვალი აუღია ბეგთაგებისშვილ იოანესგან ლეკის ჯარის დასაქირავებლად.³ სავახშო ურთიერთობებში ჩართული იყო ქვეყნის საზოგადოების ყველა ფენა. მევახშეზე მეტ-ნაკლებად დამოკიდებული გახლდათ ყველა, გლეხიდან დაწყებული, მეფით დამთავრებული. სავახშო კაპიტალის ზრდასა და მისი დიდი ოდენობით ცირკულაციას უნდა ეხმაურებოდეს იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტის (სჯულდება) ერთი პასაჟი, სადაც საუბარია ცენტრალიზებული საკრედიტო ორგანოს მსგავსის შექმნის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ამას სამეფო ოჯახის წევრი წერს, საუბარი უნდა იყოს სახელმწიფო ბანკის მსგავს ორგანოზე, თუმცა ბანკად მისი სახელდება პირობითია. პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ხარჯებისთვის გადადებული უნდა ყოფილიყო გარკვეული თანხა, კერძოდ, მშენებლობისთვის, ტყვეთა გამოსყიდვისა და სტუმრებისთვის. აქედან მორჩენილი ფული კი, დაახლოებით 200-300 თუმანი, სწორედ გასასესხებლად უნდა იქნას გამოყენებული:

¹ ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.), გვ. 278.

² მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 75.

³ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953, გვ. 139.

„ხაზინადარს ჰყვანდეს ოთხი კარგი მამულიანი მოქალაქე. თეთრის მოხელეთ უნდა ჰქონდეთ საკუთარი გალავნიანი სახლი და დიდროვანი სკივრები რკინისა, თეთრის შესანახავად, დააკეტილნი და დაბეჭდილი ხუთსავე კაციტა ყოველთვის ეყენონ ყარაულნი კარებზედ, ხოლო ფანჯარები, იყოს წვრილი რკინის ფანჯრებით, რომ კაცი ვერ შეძვრებოდეს. იგინი გაასესხებდნენ ვისაც უნდოდეს, თავადს, აზნაურს თუ სხვასა ვისმე, გირაოთი ანუ ნივთით, რომ რამდენი თუმანი უნდოდეს, ერთი სამად ღირდეს, ანუ მამულისა და ყმის დაგირავებით, ორ შაურად მიეცემოდეს სარგებლით თუმანი თვეში. რაოდენი ხანითაც უნდოდეს ბილეთი ანუ ბარათი, იმ სახედ მიეცემოდეს და თავის დროს სარგებელი და თავანი მოიტანოს და დაიხსნას თავისი ნივთი. უკეთუ დრო გავიდეს, ერთი თვე დააცალონ მერე სახალხოდ გაუყიდონ ის ნივთი და მამული სამეფოდ. რაც თეთრი წაუღია, თავის სარგებლით ისევ დადონ და სხვა მეტი რაც დარჩეს პატრონს მიეცეს. ესეც შეიძლება, რომ წლის თავზედ, თუ რაოდენიც პაემანი გასულა, მამულის და ნივთის პატრონმა სარგებელი მოიტანოს და ბარათი ხელმეორედ გამოაცვლევი-ნოს“.¹

რა თქმა უნდა, ამგვარი პროექტიც თავისი არსით კლასობრივია. ის საკუთარი კლასის ინტერესების დასაცავად უნდა იყოს ჩაფიქრებული. მოვალე ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში თუ თამასუქით ქონებას მევახშის სასარგებლოდ კარგავდა, აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ სამეფო ხელისუფლების კონტროლით უნდა გაყიდულიყო ვალის გამო გასხვისებული ნებისმიერი ნივთი თუ მამული. ამ თვალსაზრისით, ეს პროექტი წინაპარ პროექტად უნდა ჩაითვალოს სათავადაზნაურო ბანკისა, რომელიც თავისი არსით ქართული არისტოკრატიის ინტერესების დასა-

¹ იოანე ბაგრატიონი. სჯულდება (ქართ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ივ. სურგულაძე. თბ. 1957, გვ. 43.

ცავად შეიქმნა, რათა მიწა და მამული მევახშეებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

აპოლონ თაბუაშვილის დაკვირვებით, XVIII საუკუნეში სავაზმო კაპიტალის ზრდა იმითაც არის განპირობებული, რომ სარგებელი წინა საუკუნეებთან შედარებით, შემცირებულია. თუ ადრე სტანდარტულად 20% იყო გადასახდელი, ვახტანგ VI-ის სამართლის ნორმების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთი 12-დან 30%-მდე მერყეობს. მისი დაკვირვებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთების მიხედვით, ვალის უმეტესობა გაცემულია 12%-ად.¹ საჭიროების გარდა, დიდად არ ჩანს, რაში შეიძლება დასჭირვებოდა გლეხობას ვალის აღება. რაც შეეხება თავადაზნაურობას, იმ დროისთვის საშინაო ბაზრის მეტ-ნაკლები განვითარების პირობებში, ისინი ვალს მამულების გარდა, ფუფუნების საგნების შესაძენადაც იღებდნენ.² ტურნეფორის ცნობებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ქართლის სამეფოს საერთო შემოსავალი 3.700 თუმანს შეადგენდა. ერეკლე მეორის რეფორმების შემდგომ ქართლ-კახეთის შემოსავლები იზრდება. 1770 წლისთვის სახელმწიფო შემოსავლები 120-150 ათას მინალთუნს შეადგენდა, 80-იან წლებში კი – 400 ათას მინალთუნს, ანუ 2 მილიონ აბაზს.³

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხოლოდ ორი მევახშის მიერ გაცემული სესხი 2.000 თუმანს, ანუ 100 ათას აბაზს შეადგენდა. რთული წარმოსადგენი არ არის, სავაზმო კაპიტალს რამხელა ადგილი ეკავა ეკონომიკაში, შესაბამისად, რამხელა საზიანო გავლენა შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილობრივ მეურნეობაზე.

¹ ა. თაბუაშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ. 2020, გვ. 214-215.

² ა. თაბუაშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ. 2020, გვ. 215.

³ ა. თაბუაშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ. 2020, გვ. 239.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ფულის გასესხებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. თავდაპირველად სამეფახშეო კაპიტალი ეკლესიის ხელში იყო, მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო კანონები ფულის გასესხებას სასტიკად კრძალავდა. ისტორიულ საბუთებში შევხვდებით ფაქტებს, როდესაც ფულს ეკლესიის წინამძღვრები გასცემენ. მეტიც, ნიკორწმინდელის დანერილში ვალი მიწის დაკარგვის წინაპირობა და მისი საბეგრო ერთეულად გარდასახვა უნდა იყოს, რასაც შემდგომში პიროვნული თავისუფლების დაკარგვაც უნდა მოჰყოლოდა. ვალი და სესხი, ყველაზე მეტად, საგლეხო მეურნეობას აწვებოდა. თუ გლეხი ვალს იღებდა, მას ან ბეგარის გასასტუმრებლად, ან მოუსავლიანობის გამო აუცილებელი საჭიროებების შესავსებად იყენებდა.

მეორე მხრივ, როდესაც ბატონი ვალს იღებდა მეფახშისგან, რა თქმა უნდა, ისიც ფეოდალურ მეურნეობას აჯდა პარაზიტად. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ეს ყველაფერი გლეხის კისერზე გადადიოდა. მეზატონე სარგებელს მის საკუთრებაში მყოფი გლეხებისა და მამულების ხარჯზე იხდიდა. მაგალითად, სარგებელი გაიცემოდა ბეგარით, როცა გლეხი ბეგარას არა ბატონს, არამედ მის მევალეს უხდიდა, ეს შეიძლება ყოფილიყო ნატურით და შრომა-მიგებითაც. შესაბამისად, ზედმეტი შრომის მითვისება, როგორც ბატონის, ასევე მეფახშის მხრიდანაც ხდებოდა. კრიზისულ პერიოდებში, მემამულე საერთოდაც კარგავდა მიწას და უკვე მეფახშე წარმოგვიდგება მემამულედ. თუმცა, ეს გლეხობის მწარმოებელი ძალის მდგომარეობას არსებითად არ ცვლიდა. გლეხი კვლავინდებურად აგრძელებდა ბეგარის გადახდას უკვე ახალი მეპატრონისთვის, მაგრამ შეიძლება ის მასზე პიროვნულად დამოკიდებული არ ყოფილიყო.

მაგალითად, ნატურალური ბეგარა გამემამულეებულ მევახშეს ეკუთვნოდა, მსახურება და შრომა-მიგებითი ბეგარა კი – ბატონს, რომლის წინაშეც გლეხს პირადი ვალდებულება ჰქონდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც ბატონი ვალის სანაცვლოდ გლეხის ბეგარას გადასცემდა არა მევახშეს, არამედ საკუთრივ გლეხს. ამიერიდან გლეხს ახალი მეპატრონე ჰყავდა. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხი ან მსახური ვალის თავნის დასაფარად გამოიყენებოდა.

მონღოლების ბატონობის პერიოდში ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა ფეოდალური წრის უმაღლესი წარმომადგენლები მევახშეებზე ტოტალურად დამოკიდებული გახადა. მეფეც კი მონღოლებისთვის გადასახდელ ხარკს ვაჭარ-მევახშეებისგან სესხულობდა. სანაცვლოდ მევახშეებს ხელში სამეფო ქალაქები უვარდებოდათ ან ყიდულობდნენ მათ. ამ პირობებში საქართველოში სამევახშეო ორგანიზაციები – ორტალები – ჩნდება, რომლებიც ვაჭრების გაერთიანებას წარმოადგენს. მათი შემადგენლობა ნაციონალურად ჭრელია, ძირითადად, არაქართველებით, სპარსელებით, სომხებითა და ებრაელებით დაკომპლექტებული. როგორც ჩანს, ორტალის შიგნით ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა ქალიც და კაციც. კრიზისის დროს ამგვარი სამევახშეო ორგანიზაციის გაჩენა ლოგიკურია, რადგან, იმ დროს ფული ძვირად იშოვებოდა და მიწა გაიფუდა. ფული ხარკის, გადასახადების და ბეგარის გადასახდელად აუცილებელ პირობად ყალიბდება. მონღოლთა მხრიდან ხარკის სისტემატიური ამოღება ანადგურებდა ძირითადი მწარმოებლის ეკონომიკურ მდგომარეობას და ალატაკებდა მათ. ფეოდალების მიერ გადასახდელი ვალდებულებები პირაპირ მათ შრომასა და შემოსავალზე იდგა, შესაბამისად, გლეხოზა უფრო მეტად გაღატაკდა, ვიდრე არისტოკრატია. ამგვარ პირობებში სამევახშეო და საკრედიტო საქმიანობის განვითარება სრულიად ლოგიკურია. მწარმოებელი მოსახლეობა ორმაგად ექსპ-

ლუატირებული იყო, მას ერთდროულად ბეგარის, სესხის პროცენტის და ხარკის გადახდა უწევდა.

სამეფო ხელისუფლება სამეფახშეო საქმიანობას კონტროლს უწევდა და ამგვარი საქმიანობა სამართლის ნორმებითაც იყო განმტკიცებული. ოფიციალური ზედა ზღვარი 30 %-ს არ უნდა გადასცილებოდა. თუმცა იყო შემთხვევები, როცა სარგებელი 50%, 100% და 300% კი ყოფილა. მკაცრად იყო აკრძალული სარგებლის სარგებელი, ანუ პროცენტის პროცენტი. თუმცა, ყოველდღიურობაში ამგვარ ფაქტებსაც ვაწყდებით. სტანდარტული სარგებლის ზედა ზღვარი XVIII საუკუნეებში 30%-მდე იყო, შემდეგ იგი 30%-ზე ნაკლებიც კი გახდა, თუმცა ეს იმას არ გამოორიცხავს, რომ სარგებლის უფრო მაღალი ოდენობაც არსებობდა. XVIII საუკუნეში ფულის სარგებლის 30%-ზე ნაკლებად გასესხებამ სესხი შედარებით ხელმისაწვდომი გახადა საზოგადოების ყველა ფენისთვის. თუ ერთნი ყოველდღიური საჭიროებებისა და გადასახადების დასაფარად სესხულობდნენ, მეორენი – ფუფუნების საგნების შესაძენად. კახა თორელის დოკუმენტის მიხედვით, ფული ძვირად იშოვებოდა, მიწა კი იაფად. ამიტომ ფეოდალები ფულს მაღალი სარგებლით სესხულობდნენ, გადაუხდელობის შემთხვევაში კი მამულების დათმობა უწევდათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი შემთხვევები ხშირი იყო, რამაც მიწაზე ფასის დაწევა გამოიწვია. ფასის დაწევა მიწის გაუკაცრიელებითაც იყო გამოწვეული.

თავისი არსით, სამეფახშეო საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა საბატონო მეურნეობას, ძირს უთხრიდა მის საფუძვლებს და შესაბამისად, არღვევდა ფეოდალური წარმოების წესს. თუმცა საქართველოში ეს პროცესი უფრო ხანგრძლივი გამოდგა და სამამულო მეურნეობის ძირის გამოთხრა პირდაპირ აისახებოდა საგლეხო მეურნეობასა და მისი ექსპლუატაციის ხარისხზე. ეკონომიკურმა კრიზისებმა გამოიწვია არა მარტო საბატონო მამულების დაშლა-გაყოფა, არამედ საგლეხო ფუძის უფრო მე-

